

მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა ევროკავშირში და ევროინტეგრაცია

ოლეგ შატბერაშვილი

1. შესავალი

ამჟამად საინოვაციო პოლიტიკა ევროპული ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მაკროეკონომიკური ინსტრუმენტია. შესაბამისად, ამ პოლიტიკის მრავალრიცხოვანი კომპონენტის მართვა როგორც ევროკომისიის, ასევე ეროვნული და რეგიონული (სუბ-ეროვნული) მთავრობების ერთ-ერთი უმთავრესი თემაა. ინოვაცია, აღიარებული მე-20 საუკუნის დასაწყისიდან ეკონომისტების მიერ, როგორც წარმოების მამოძრავებელი ინსტრუმენტი, ევროპაში სახელმწიფო და, მეტიც, მეტასახელმწიფო პოლიტიკის საკვანძო საკითხი გახდა.

წინამდებარე სტატიის მიზანია წარმოაჩინოს ევროპული საინოვაციო პოლიტიკის ძირითადი კომპონენტები და მისი იმპლემენტაციის მექანიზმები. კერძოდ, მეორე პარაგრაფში მოკლედ მიმხილულია საერთოევროპული პოლიტიკა ინოვაციების სფეროში. მესამე პარაგრაფში განხილულია ლისაბონის სტრატეგიის ძირითადი დებულებები, სტატიის მეოთხე და მეხუთე პარაგრაფში აღწერილია ლისაბონის სტრატეგიის განვითარება განვლილ ათწლეულში და გაანალიზებულია მისი საერთოევროპული მნიშვნელობა. სტატიის მეექვსე და მეშვიდე პარაგრაფში აღწერილია ლისაბონის სტრატეგიის განხორციელების, კოორდინაციისა და მონიტორინგის მექანიზმები, აგრეთვე მართვის შესაბამისი ორგანოები. სტატიის მერვე პარაგრაფი ეძღვნება ლისაბონის სტრატეგიის ეროვნულ განზომილებას, ხოლო მეცხრე პარაგრაფში განხილულია რეგიონული საინოვაციო პოლიტიკა. დასასრულს მოტანილია დასკვნები. სტატიას ახლავს სამი დანართი, რომლებშიც დეტალურადაა აღწერილი ლისაბონის სტრატეგიისა და ევროპის ინოვაციის პირველი სამოქმედო გეგმის ძირითადი კომპონენტები, აგრეთვე განხილულია ევროპის საინოვაციო პოლიტიკის ღონისძიებათა მაგალითები.

2. საერთოევროპული პოლიტიკა

2.1. ზოგადი მიმოხილვა

ევროპამ ინტეგრაციის პროცესში გაიარა გრძელი გზა შედარებით მარტივი სამრეწველო კოოპერაციიდან¹, რომლის მიზანი იყო უკონფლიქტო, მშვიდობიანი ევროპის აშენება, ძალიან რთულ კოოპერაციამდე ინოვაციის სფეროში, რომლის მიზანია მსოფლიოში ყველაზე კონკურენტუნარიანი საერთოევროპული ეკონომიკის აშენება. ეს გულისხმობს კოოპერაციას კვლევისა და შემუშავების, სტანდარტიზაციის, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების, განათლების, მაღალტექნოლოგიური კომპანიების აქციათა ერთიანი ბაზრის შექმნისა და სხვა სფეროებში. ამ მიმართულებით თვალსაჩინო შედეგებია მიღწეული. ცნობილია ევროპის მიღწევები სამოქალაქო ავიაციის, კოსმოსის, სახმელეთო ტრანსპორტის, მობილური სატელეფონო კავშირგაბმულობისა და სხვა სფეროებში. მიუხედავად ამისა, საჭიროა წევრი-ქვეყნების შემდგომი, უფრო ღრმა ინტეგრაცია ისეთ სფეროებში, როგორცაა ინოვაციის ხელშეწყობი საფინანსო მექანიზმები, ინტელექტუალური საკუთრება, საგადასახადო კანონმდებლობა, საჯარო კვლევითი ორგანიზაციებისა და კერძო საწარმოების თანამშრომლობა, რისკენაც ევროპა აუჩქარებლად, მაგრამ თანმიმდევრულად დგამს ნაბიჯებს.

ევროპული საინოვაციო სისტემა, დაგეგმვისა და მართვის თვალსაზრისით, სამდონიანია (იხ. ნახ1):


1. ევროგაერთიანების საინოვაციო სისტემა, რომელიც მოიცავს ყველა წევრ-სახელმწიფოს ეროვნულ სისტემებს და, აგრეთვე, ევროპულ (ევროკომისიის დაქვემდებარებაში მყოფ) კვლევით ცენტრებსა და საწარმოებს (მაგალითად, გაერთიანებული კვლევითი ცენტრი - JRC²);
2. თითოეული ქვეყნის საინოვაციო სისტემები;
3. რეგიონული (ქვე-ეროვნული) საინოვაციო სისტემები (ოლქების, პროვინციების და სხვა). თითოეული დონე იხილება, როგორც მართვის განსაკუთრებული ობიექტი,

¹ The Schuman Declaration of 9 May 1950 (Suman Plan). The history of the European Union.

(http://europa.eu/abc/history/1945-1959/index_en.htm)

² Joint Research Centre (ec.europa.eu/dgs/jrc/index.cfm)

რომლის განვითარება, შესაბამისი პოლიტიკების საფუძველზე, ხორციელდება მართვის სათანადო ორგანოების მიერ.



ნახ. 1 ევროპული საინოვაციო სისტემა

2.2. ისტორია და ფუძემდებელი დოკუმენტები. ინოვაციის მწვანე რვეული და პირველი სამოქმედო გეგმა

1995 წლამდე საინოვაციო პოლიტიკა წევრი-ქვეყნების პრეროგატივა იყო. ამ დროისთვის ევროგაერთიანების წევრი-ქვეყნების უმრავლესობას, თუმცა არა ყველას, უკვე გააჩნდა მკაფიოდ ჩამოყალიბებული საინოვაციო პოლიტიკა. ევროკომისიამ ჩაატარა ევროპაში საინოვაციო სფეროს ანალიზი, რომლის შედეგები გამოქვეყნდა 1995 წლის დეკემბერში "ინოვაციის მწვანე რვეულის" (*Green Paper of Innovation*)³ სახით. ამ დოკუმენტში ინოვაციის ვიწრო, კლასიკური ხედვა, როგორც საწარმოს მიერ ახალი ტექნიკური გადაწყვეტების საფუძველზე ახალი პროდუქტისა თუ პროცესის შექმნა/ათვისებისა და მისი ბაზარზე წარმატებული გატანის პროცესის, გაფართოებულ იქნა. ინოვაციისთვის მზადყოფნის ცნება სხვადასხვა პოლიტიკებს მოიცავს (სპეციალურად მომართული პოლიტიკების არსებობას გულისხმობს): სამრეწველოს, კვლევისა და ტექნოლოგიის შემუშავების, განათლებისა და

³ *Green Paper* – ევროკომისიაში მიღებული კომუნიკაციის ერთ-ერთი ფორმა, რომლითაც საზოგადოებასა და ევროსაბჭოს სადისკუსიო თემები მიეწოდება.

გადამზადების, საგადასახადოს, კონკურენციის განვითარების, რეგიონული განვითარების, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის, გარემოს დაცვისა და სხვა.

ამ კონტექსტში "ინოვაციის მწვანე რვეულში" მოქმედების რამდენიმე მიმართულება იქნა დადგენილი და დაინტერესებულ საზოგადოებას ეთხოვა გამოეთქვა მათ შესახებ აზრი და შემოეტანა წინადადებები:

1. განვითარებულ იქნას ტექნოლოგიების მონიტორინგი და პროგნოზირება
2. კვლევითი ძალისხმევა უკეთ იყოს ინოვაციაზე მიმართული
3. გაუმჯობესდეს ადამიანთა საწყისი მომზადება და შემდგომი გადამზადება
4. გაიზარდოს სტუდენტებისა და მკვლევარების მობილობა
5. ამაღლდეს ინოვაციით მიღებული სარგებელის გაცნობიერება
6. გაუმჯობესდეს ინოვაციის დაფინანსება
7. დაფუძნდეს ინოვაციის წამახალისებელი საგადასახადო რეჟიმი
8. ხელი შეეწყოს ინტელექტუალურ და სამრეწველო საკუთრებაზე უფლებების დაცვას
9. გამარტივდეს ადმინისტრაციული პროცედურები
10. განვითარებულ იქნას ინოვაციის ხელშემწყობი საკანონმდებლო და ნორმატიული გარემო
11. განვითარდეს "ეკონომიკური დაზვერვის" მოქმედება
12. ხელი შეეწყოს ინოვაციას საწარმოებში, განსაკუთრებით მცირე საწარმოებში, და გაძლიერდეს ინოვაციის რეგიონული განზომილება
13. გაძლიერდეს ინოვაციის მხარდამჭერი საზოგადოებრივი მოძრაობა.

მომდევნო დისკუსიის შედეგად, 1996 წლის 20 ნოემბერს ევროპული კომისიის მიერ მიღებულ იქნა "ევროპაში ინოვაციის პირველი სამოქმედო გეგმა" (First Action Plan for Innovation in Europe)⁴. გეგმით დადგინდა სამი ძირითადი მიმართულება, რომელთა მეშვეობით უნდა გამოსწორებულიყო ევროპაში არსებული "ინოვაციის დეფიციტი" (მას "ევროპულ პარადოქსსაც" უწოდებენ). იგი ევროპის სამეცნიერო მიღწევებსა და მათ კერძო სექტორში კონკურენტუნარიანობის ზრდისა და ინოვაციისთვის გამოყენებას შორის შეუსაბამობაში მდგომარეობს. ეს მიმართულებებია:

- ჭეშმარიტი საინოვაციო კულტურის განვითარება;

⁴ First Action Plan for Innovation in Europe. European Commission, 1996. (<http://cordis.europa.eu/documents>)

- ინოვაციისთვის სასურველი/მიზანშეწონილი საკანონმდებლო, ნორმატიული და საფინანსო გარემოს შექმნა;
- კვლევის ინოვაციის მიმართულებით წარიმართვა, როგორც ევროგაერთიანების, ასევე ეროვნულ დონეებზე.

გვერდით გათვალისწინებული უფრო დეტალური ღონისძიებები ასახავენ იმ წინადადებებს (შეწონილს), რომელიც "მწვანე რევულის" პასუხად შემოვიდა ევროკომისიაში. უნდა აღინიშნოს, რომ იყო სკეპტიკური პასუხებიც (მაგალითად, პორტუგალია თვლიდა, რომ მისთვის საინოვაციო განვითარების გეგმა ნაადრევია, რომ ქვეყანაში არსებობს უფრო მნიშვნელოვანი პრიორიტეტები – ქალაქების დაგეგმარება, სოფლების განახლება, განათლება, ჯანდაცვა და ასაკოვანთა პრობლემები). სწორედ ესაა ევროპული ინტეგრაციის რეალური სირთულეები, დაკავშირებული წევრი-ქვეყნების განვითარების დონეების სხვადასხვაობასთან, რაც განსაკუთრებულ სიფრთხილესა და თანმიმდევრულობას მოითხოვს.

სასურველია ევროპაში ინოვაციის პირველი სამოქმედო გეგმის ოდნავ უფრო დეტალური გაცნობა, რადგანაც მისი ისტორიული მნიშვნელობა და შინაარსი განსაზღვრავს და უფრო გასაგებს ხდის ევროპის მიმდინარე განვითარებას. პირობითად შეიძლება ითქვას⁵, რომ მისი მიღებით ევროკომისიამ ევროკავშირის საინოვაციო განვითარების საკითხების მართვა საკუთარი ყურადღების ცენტრში მოაქცია, რითაც მათი მაკროეკონომიკური მნიშვნელობა აღიარა. ამავე დროს, ევროკავშირის 1996 წლის ფლორენციის სამიტზე⁶ აღინიშნა, რომ "დასაქმებისთვის ბრძოლა რჩება ევროკავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების მთავარი პრიორიტეტი". სამოქმედო გეგმამ ევროპის ოფიციალურ დოკუმენტში დასაქმების პრობლემის გადაწყვეტა საინოვაციო განვითარებასთან პირველად დააკავშირა. გეგმაში შესული მიმართულებების უმრავლესობა დღესაც აქტუალურია (იხ. დანართი 2).

სამოქმედო გეგმა გულისხმობდა, რომ ცალკეული ქვეყნები მის თემატურ ხორცშესხმას საკუთარი ამოცანების შესაბამისად მოახდენდნენ. გეგმით გათვალისწინებული ინსტრუმენტები სხვადასხვაგვარად იქნებოდა გამოყენებული განსხვავებული პრიორიტეტული ტექნოლოგიებისა და თემატური სექტორების მიმართ. პრიორიტეტულად მოიაზრებოდა, მაგალითად, ტექნოლოგიები განკუთვნილი გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარებისთვის, მომსახურების სექტორისთვის, სოფლის განვითარებისთვის და, აგრეთვე, აუდიო-ვიზუალური სექტორის ტექნოლოგიები. პრიორიტეტი იყო კოსმოსური და ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიების უფრო სრული გამოყენებაც.

ინოვაციის სამოქმედო გეგმამ საწარმოების განვითარებისა და მართვის, დასაქმების, ინოვაციის სფეროში კადრების მომზადების (მენეჯერთა, სახელმწიფო მოხელეთა, მეცნიერთა

⁵ "პირობითად", რადგანაც სინამდვილეში ცვლილებები ხელვაში და პოლიტიკაში ერთბაშად არ ხდება.

ევროკომისიის პროგრამებში მრავალი ელემენტი მანამდეც იხილებოდა.

⁶ Conclusions of the Presidency, Florence Summit, 21 and 22 June 1996, SN/300/46

და ინჟინერთა), აგრეთვე ყველა სექტორში კვლევისა და შემუშავების საკითხები დააკავშირა ერთმანეთთან საერთოევროპულ, ეროვნულ და რეგიონულ ჭრილებში. ამ მიდგომამ საფუძველი შეუქმნა ცნობილ ლისაბონის სტრატეგიას, რომელიც ამჟამადც ევროპის განვითარების ძირითადი ინსტრუმენტია.

კვდამ ევროკავშირის ოფიციალური დოკუმენტის დონეზე ხაზი გაუსვა, რომ ინოვაციისთვის უპირველესი მნიშვნელობის ფაქტორია კავშირი კვლევას (ცოდნის წარმოებას), კადრების გადამზადებასა და მათ მობილობას, ცოდნის გავრცელებასა და კომპანიების მიერ ტექნოლოგიების შეთვისების უნარს შორის (მიუხედავად ტექნოლოგიის წარმოშობის ადგილისა). განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ყოველივე ამას მცირე საწარმოებთან მიმართებაში.

ევროკომისია *კვდის* შესრულების მიზნით იყენებდა მრავალფეროვან მართვის მეთოდებს: ღირექტივებს, მოწოდებებსა და რეკომენდაციებს ეროვნული მთავრობების მიმართ (რომელთა როლი უზარმაზარია), საკუთარ სახსრებს (პროგრამებს, ფონდებს), შედარებისა და შეფასების სისტემების შექმნას (ქვეყნების, რეგიონებისა და ორგანიზაციების შედარებისთვისა და შეჯიბრების სულისკვეთების დასანერგად), კანონმდებლობას– სადაც შესაძლებელია. ისეთი ფართო და რთული სფეროსთვის, როგორცაა ინოვაცია, და ისეთ რთულ, მრავალდონიან ორგანიზაციულ სიტუმაში, როგორცაა ევროგაერთიანება, ეს ერთადერთი რაციონალური მიდგომაა. ხისტი და ერთგვაროვანი მეთოდები აქ არ გამოდგებოდა. მართვის მიმართ აღწერილი მიდგომა *ლისაბონის სტრატეგიაში* გადაიქცა *კოორდინაციის ღია მეთოდით*.

3. ლისაბონის სტრატეგია ზრდისა და დასაქმებისთვის

3.1. წინაპირობები

2000 წლის მარტში ლისაბონში ევროპის საბჭოს სხდომამ (ლისაბონის სამიტი) მიიღო რამდენიმე ფუძემდებელი დოკუმენტი⁷, რომლითაც გაცხადდა, რომ საინოვაციო პოლიტიკა ხდება ევროპის განვითარების ძირითადი მაკროეკონომიკური ინსტრუმენტი. ევროპა ამჟამადც ამ დოკუმენტებში დასახული მიზნებისკენ მოძრაობს, იმ შესწორებებისა და დაზუსტებების გათვალისწინებით, რომლებიც უფრო გვიან იქნა მიღებული.

⁷ Presidency Conclusions. European Council, Lisbon, 23 - 24 March 2000.

(www.europarl.europa.eu/summits/lis1_en.htm)

ეს დოკუმენტი, ცნობილი როგორც ლისაბონის სტრატეგია (აგრეთვე ლისაბონის დღის წესრიგი ან ლისაბონის პროცესი), წარმოადგენს ევროპისთვის სამოქმედო და განვითარების გეგმას. მისი მიზანი ჩამოყალიბდა ასე: "2010 წლისთვის ევროპა უნდა იქცეს მსოფლიოში ყველაზე კონკურენტუნარიან, ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკად, რომელსაც გააჩნია მდგრადი ეკონომიკური ზრდის უნარი, მეტი და უკეთესი სამუშაო ადგილით, გაძლიერებული სოციალური ერთობითა და გარემოსადმი მეტი ყურადღებით".

ლისაბონის სტრატეგია "ევროპაში ინოვაციის პირველი სამოქმედო გეგმა" გაფართოებად და გაღრმავებად მიიჩნევა. ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად იგი გულისხმობს მოქმედებას ეკონომიკის, სოციალურ, გარემოსდაცვით და მდგრადი განვითარების სფეროებში და ეყრდნობა ისეთ ეკონომიკურ კონცეფციებს, როგორიცაა:

- ინოვაცია, როგორც ეკონომიკური ცვლილებების ამძრავი მექანიზმი;
- ცოდნის ეკონომიკა;
- სოციალური და საარსებო გარემოს განახლება.

სტრატეგია გულისხმობს, რომ უფრო ძლიერი ეკონომიკა, მასთან დაკავშირებულ სოციალურ და გარემოსდაცვით პოლიტიკებთან ერთად, გაზრდის დასაქმებას, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკურ ზრდას შეუწყობს ხელს. lisabonis strategiiis ZiriTadi komponentebia (ix. danarTi 1):

1. dasaqmeba, ekonomikuri reforma da socialuri Tanxmoba

- 1.1. sainformacio sazogadoeba yvelasTvis
- 1.2. kvlevisa da inovaciis evropuli sivrcis dafuZneba
- 1.3. inovaciuri biznesis, gansakuTrebiT mcire da saSualos, dawyebisa da ganviTarebisTvis megobruli garemos Seqmna
- 1.4. ekonomikuri reformebi, mimarTuli Sida bazris Seqmnis dasrulebaze da srulad amoqmedebaze
- 1.5. efeqtiani da gaerTianebuli safinanso bazrebi
- 1.6. makro-ekonomikuri politikis koordineba: safinanso-saangariSo konsolidacia, sajaro finansebis xarixsi da mdgradoba

2. evropuli socialuri modelis modernizeba adamianebSi investirebisa da aqtiuri keTildReobis saxelmwifos aSenebis gziT

- 2.1. ganaTleba da gadamzadeba codnis ekonomikis pirobebSi cxovrebisa da muSaobisTvis
- 2.2. meti da ukeTesi samuSao adgili evropisTvis: dasaqmebis aqtiuri politikis ganviTareba
- 2.3. socialuri dacvis modernizacia
- 2.4. socialuri CarTulobis gaumjobeseba

ლისაბონის სტრატეგიის მიზნები დაისახა მომდევნო ათწლეულისთვის, ანუ 2000-2010 წლებისთვის, ევროპის წინაშე მდგარი გლობალიზაციის, ცოდნით მართული ეკონომიკის მრავალრიცხოვანი გამოწვევებისა და ევროპის მოსალოდნელი გაფართოების კონტექსტში. გამოწვევებთან ერთად, ევროპას ეძლეოდა ახალი შანსი "აეგო ცოდნის ინფრასტრუქტურები, გაეძლიერებინა ინოვაცია და ეკონომიკური რეფორმა, მოეხდინა სოციალური კეთილდღეობისა და განათლების სისტემების მოდერნიზება"⁷.

ამ მომენტისთვის ევროპამ არნახულ მაკრო-ეკონომიკურ შედეგებს მიაღწია. დაბალი ინფლაცია, დაბალი საბანკო პროცენტები, ევროს წარმატებული შემოღება, ერთიანი ბაზრის შექმნის თითქმის დასრულება, გაფართოების მოლოდინი, კვალიფიცირებული სამუშაო ძალა, განვითარებული სოციალური დაცვის სისტემა – ყველაფერი ეს ზრდის კარგ პერსპექტივებს ქმნიდა. ევროპის საქებად უნდა ითქვას, რომ სწორედ ამ დროს ყურადღება გამახვილდა სუსტ მხარეებზე – 15 მილიონ უმუშევარზე, უმუშევრობის სტრუქტურულ ხასიათზე (მაგალითად, საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში კადრების უკმარისობა), რეგიონულ უმუშევრობაზე, მომსახურების სექტორის ფარდობით სისუსტეზე (ტელეკომუნიკაცია და ინტერნეტი) და სხვა. ამის გამო, მიუხედავად პოზიტიური ეკონომიკური ფონისა, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ახალი ეკონომიკური მიზნების და მექანიზმების დაგეგმვის შესახებ. ქვემოთ მოგვყავს ლისაბონის სტრატეგიის მიმართულებები და მათი შინაარსი.

3.4. გადაწყვეტილებების პრაქტიკაში გატარება: უფრო შეთანხმებული და სისტემატური მიდგომა

ლისაბონის სტრატეგია ფართო ეკონომიკურ ამოცანებს ისახავს. მის შესრულებაში ევროკავშირის ყველა უწყება და წევრი ქვეყანა მონაწილეობს. ამ პირობების გათვალისწინებით, სტრატეგიაში სპეციალური ყურადღება დაეთმო განხორციელების უზრუნველყოფ ღონისძიებებს.

3.4.1. კოორდინაციის ღია მეთოდი

არსებული ფართო ეკონომიკური პოლიტიკის რეკომენდაციები (Guidelines) და ლუქსემბურგის, კარდიფისა და კიოლნის⁸ პროცესები უზრუნველყოფენ საჭირო

⁸ კიოლნის 1999 წლის სამიტზე მიღებული დასაქმების ევროპული პაქტი.

ინსტრუმენტებს ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკაზე გადასვლისთვის. ევროკავშირის საბჭო გაწევს კოორდინატორის როლს, განიხილავს რა წელიწადში ერთხელ ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებს ევროკომისიის მიერ შედგენილი დასაქმების, ინოვაციის, ეკონომიკური რეფორმისა და სოციალური თანხმობის სტრუქტურულ ინდიკატორებზე დაყრდნობილი ანგარიშის საფუძველზე.

სტრატეგიული მიზნების განხორციელებისთვის გამოყენებული იქნება კოორდინაციის ღია მეთოდი (მისი საფუძვლები *ინოვაციის პირველი სამოქმედო გეგმის* შედგენისას ჩამოყალიბდა, როგორც წევრ სახელმწიფოებზე ზემოქმედების რბილი მართვის ინსტრუმენტი):

- *კავშირისთვის რეკომენდაციების/ინსტრუქციებისა და, ერთდროულად, მიზნების მიღწევის დროითი განრიგების დადგენა მოკლე- საშუალო- და გრძელვადიანი ქმედებებისთვის;*
- *დადგინდეს, სადაც კი შესაძლებელია, ინდიკატორები და შეიქმნას აღრიცხვის/შედარების სისტემები მსოფლიო საუკეთესო ნიმუშებთან და ქვეყნების ერთმანეთთან შესადარებლად;*
- *ევროპული ინსტრუქციების ეროვნულ პოლიტიკაში გადაყვანა ეროვნული და რეგიონული თავისებურებების გათვალისწინებით;*
- *პერიოდული მონიტორინგი, შეფასება და ერთმანეთის მიმოხილვა, ორგანიზებული ურთიერთსწავლების ფორმით.*

დეცენტრალიზებული მიდგომა კომბინირებული იქნება დაქვემდებარების პრინციპებთან ევროკავშირის, ქვეყნების, რეგიონებისა და ადგილობრივ დონეებზე. ევროკავშირის საბჭო მიმართავს კომპანიების პასუხისმგებლობის გრძნობას უწყვეტი განათლების, სამუშაოს ორგანიზების, სოციალური ჩართულობისა და მდგრადი განვითარების მიმართ.

3.4.2 საჭირო საშუალებების მობილიზება

ევროკავშირი ითამაშებს კატალიზატორის როლს პროცესში, შექმნის რა აუცილებელ ჩარჩოს სახსრების მობილიზებისთვის ცოდნის ეკონომიკაზე გადასასვლელათ, და თვითონაც გაიღებს სახსრებს გაერთიანების არსებული პოლიტიკების ჩარჩოებში. ევროპული საინვესტიციო ბანკი, მოახდენს ინვესტირებას ადამიანური კაპიტალის ფორმირებაში, მცირე საწარმოებსა და მეწარმეობაში, კვლევასა და შემუშავებაში, საინფორმაციო ქსელებში და ტელეკომუნიკაციასა და ინოვაციაში. იგი. "ინოვაცია 2000 ინიციატივის" ფარგლებში, გაიღებს დამატებით მილიარდ ევროს მცირე საწარმოებისთვის სარისკო კაპიტალის

ფორმირებაში და მიიყვანს სესხების პროგრამას პრიორიტეტულ სფეროებში 12-15 მილიარდ ევრომდე სამი წლის განმავლობაში.

4. ლისაბონის სტრატეგიის განვითარება განვლილ წლებში

2000 წლის შემდეგ ლისაბონის სტრატეგიაში გაკეთდა მრავალი დაზუსტება. მაგალითად, მნიშვნელოვანი იყო 2002 წელს ევროპის საბჭოს ბარსელონის სხდომაზე კვლევისა და შემუშავების სფეროში კონკრეტული მაკრომიზნის დადგენა, კერძოდ, ნაცვლად 2002 წელს დახარჯული მშპ-ს 1.9%-სა, ევროპული მშპ-ს 3% უნდა დაიხარჯოს კვლევისა და შემუშავებაზე 2010 წელს, აქედან 2/3 კერძო სექტორში⁹.

2000 წლის გადაწყვეტილებებში გამოკვეთილი არ იყო გარემოს დაცვის საკითხები. მოიხსენიებოდა "ცხოვრების უკეთესი პირობები ევროპელებისთვის", რაშიც გარემოც იგულისხმება. 2001 წელს ევროკავშირის საბჭოს სტოკჰოლმის სხდომაზე ლისაბონის სტრატეგიაში გარემოსდაცვითი პოლიტიკა (მდგრადი განვითარება) იქნა ინტეგრირებული.

2002 წლის მარტში ბარსელონაში ევროკავშირის საბჭომ განაცხადა, რომ ლისაბონის სტრატეგია წვერი ქვეყნებისთვის ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი მიზნების განხორციელების სტიმულია. მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად სხვადასხვა სფეროში პოლიტიკები ევროკავშირის გრძელვადიან მიზნებთან თავსებადი უნდა იყოს, ხოლო ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი მიდგომები თანაბარი მნიშვნელობისაა პოლიტიკის შემუშავებისა და გადაწყვეტილებების მიღებისთვის. საბჭო მიესალმა კიოტოს პროტოკოლის ხელმოწერას და აღნიშნა, რომ მეექვსე გარემოსდაცვითი სამოქმედო პროგრამა მდგრადი განვითარების საკვანძო ინსტრუმენტია. საბჭომ, აგრეთვე, ხაზი გაუსვა გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების განვითარების მნიშვნელობას, ენერგოეფექტურობის ღონისძიებებს, მდგრადი განვითარებისთვის გლობალურ პარტნიორობას¹⁰.

ლისაბონის სტრატეგიაში, მისი საერთო სულისკვეთების შეუცვლელად, განსაკუთრებით ბევრი დაზუსტება და დამატებითი ღონისძიება შევიდა 2005 წელს ბარსელონაში,

⁹ Presidency Conclusions. Barcelona European Council, 15-16 March 2002 (http://europa.eu/european-council/index_en.htm)

¹⁰ Presidency Conclusions. Barcelona European Council, 15-16 March 2002.

ევროკავშირის საბჭოს სხდომაზე. ამას ლისაბონის სტრატეგიის ხელახალი სტარტი ან, სხვანაირად, ლისაბონი-2 უწოდეს¹¹. პირველად იყო მიღებული ქვეყნების მიხედვით დიფერენცირებული რეკომენდაციები, რომელიც თითოეული ქვეყნის მოთხოვნებს ასახავდა. მიღებულ იქნა **რეკომენდაციების ერთიანი პაკეტი** (Integrated Guidelines Package) ფართო ეკონომიკური პოლიტიკის თაობაზე, რომელიც არსებულ ინსტრუმენტებს აძლიერებს და ზოგიერთ ახალ ინსტრუმენტს წარმოქმნის. მაგალითად, რეკომენდებული იყო **ტექნოლოგიის ევროპული ინსტიტუტის** (European Institute of Technology) დაფუძნება, **ინოვაციის პოლუსების** (Innovation Poles) განვითარება, ეკო-ინოვაციის განვითარება, **ევროპული ტექნოლოგიური ინიციატივების** (European Technology Initiatives) განვითარება, სახელმწიფო დახმარების პოლიტიკის (State Aid policy) რეფორმა და სხვა. ამ ინიციატივებიდან ზოგიერთი განმარტებულია **ჩარჩო I-ში ევროპის საინოვაციო პოლიტიკის ზოგიერთი ღონისძიება (მნიშვნელოვანი მაგალითები)** (გვ. 14).


5. ლისაბონის სტრატეგიის მნიშვნელობა

ლისაბონის სტრატეგია, ცვლილებებითა და დამატებებით, დღესაც მუშაობს. 2.2 – 2.4 ქვეთავებში აღწერილი 2000 წლის მარტის ლისაბონის სამიტის **გადაწყვეტილებები** ცხადად ადასტურებენ, რომ საინოვაციო პოლიტიკა განმსაზღვრელი გახდა ევროპის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში. ისინი, აგრეთვე, ყოველ პუნქტში ხაზს უსვამენ წვერი ქვეყნების ერთობლივი ქმედებების მნიშვნელობას. კერძოდ, მიანიშნებენ, რომ ლისაბონის მიზნების მისაღწევად საჭიროა ევროპულ სამართლებრივ გარემოსთან შეთანხმებული, მიზანდასახული ცვლილებები ეროვნულ კანონმდებლობებში, რაც ევროინტეგრაციის ეფექტიანი მექანიზმია. აღწერილ დოკუმენტში მოყვანილი ყველა მიმართულება იხილება, როგორც ინოვაციის ინსტრუმენტი. დოკუმენტი მიმართულია სამეცნიერო, სამრეწველო, რეგიონული, საფინანსო და სოციალური პოლიტიკების ინტეგრაციაზე ერთიან ინოვაციურ პოლიტიკაში, რომლის მიზანია სიახლეებისთვის ხელშემწყობი პირობების შექმნა. სხვა სიტყვებით, იგი ემსახურება ინოვაციისთვის მიზანშეწონილი პოლიტიკების ნაზავის შემუშავებას.

თვით გადაწყვეტილება ლისაბონის სტრატეგიის მიღების შესახებ ძლიერი ინოვაციური მუხტის მატარებელია. ლისაბონის სტრატეგია არ იმეორებს და არ გავს მანამდე არსებულ

¹¹ Working together for growth and jobs. A new start for the Lisbon Strategy. Brussels, 3.2.2005 SEC (2005) 193. (ec.europa.eu/growthandjobs/pdf/SEC2005_193_en.pdf)

ფუნდამენტურ სამოქმედო პროგრამებს, როგორცაა, მაგალითად, ერთიანი ბაზარი ან ერთიანი ფულადი ერთეული. მისი მოქმედების სფერო გაცილებით უფრო ფართოა, ხოლო მეთოდოლოგია – განსხვავებული.



ნახ. 2 ლისაბონის სტრატეგიის კომპონენტები

6. შესრულების უზრუნველყოფა: ღონისძიებები, კოორდინირება და მონიტორინგი

გრაფიკულად ლისაბონის სტრატეგიის არქიტექტურა შეიძლება ასე წარმოვადგინოთ (ნახ. 2). სტრატეგიის მიმართულებების სიბრტყეზე განლაგებული თითოეული მიმართულება მოიცავს სხვადასხვა ღონისძიებებს სამ ღონეზე (ევროპულ, ეროვნულ და რეგიონულ) და იმართება ჰორიზონტალურ სიბრტყეზე მოთავსებული ყველა ან რამოდენიმე მართვის ხერხით. მათში მარცხნიდან პირველია ევროპული კანონმდებლობა (regulations), რომლის შესრულება სავალდებულოა ყველა ქვეყნისთვის. მეორეა დირექტივები, რომელთა შესრულება აგრეთვე სავალდებულოა, მაგრამ გზა და საშუალება დამოკიდებულია ქვეყნის გადაწყვეტილებებზე. შემდეგი ოთხი ხერხი, გაერთიანებული კოორდინირების ღია მეთოდში, გულისხმობს, რომ ევროგაერთიანება საერთო გეზს იძლევა, ხოლო შესრულება ქვეყნებზეა დამოკიდებული. მონიტორინგის სისტემა გამოავლენს, თუ რამდენად წარმატებულია ამა თუ იმ ქვეყნის მოქმედება. კოორდინაციის ღია მეთოდი ფაქტიურად რბილი მართვის მეთოდია. ისეთ რთულ და არაიერარქიულ სიტუაციაში, როგორცაა ევროკავშირი ხისტი მართვის მოქმედება შეუძლებელია.

კორდინირების ღია მეთოდის ეფექტიანობისთვის გადამწყვეტია დასახული მიზნებისკენ მოძრაობისა და საშუალოდ ამოცანების შესრულების ხარისხის თვალყურისდევნება. კორექტულად შესრულებული ეს ამოცანა წარმოშობს ქვეყნებსა და რეგიონებს შორის შეჯიბრებითობისა და ინფორმაციის ურთიერთგაცვლის პირობებს, რაც კორდინაციის ღია მეთოდის ქმედითობის ერთ-ერთი უმთავრესი მექანიზმია. მონიტორინგის სისტემა მრავალ დონისძიებას მოიცავს. მთლიანად ლისაბონის სტრატეგიისა და მისი ყველა მიმართულებით შექმნილია საინფორმაციო-ანალიზური სიტემები. მრავალი მიმართულებითა და ქვემიმართულებით პერიოდულად სრულდება სოციოლოგიური გამოკითხვები. ყველა მიმართულებით მუშაობენ მეცნიერთა ჯგუფები, რომელთა ამოცანაა განვითარების ინდიკატორების შემუშავება, მიმდინარე მდგომარეობის ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება. სამუშაოები სრულდება საერთოევროპულ და ეროვნულ დონეებზე.

ინოვაციის სფეროში საერთოევროპული ტენდენციების გამოვლენის საინფორმაციო სისტემა (*Trend Chart on Innovation in Europe*, www.proinno-europe.eu/trendchart) ინოვაციის სფეროში მომუშავე ყველა დონის მენეჯერებისთვის პრაქტიკული ინსტრუმენტია. იგი შეკუმშული ფორმით იძლევა შეჯამებულ სტატისტიკურ ინფორმაციას, აგრეთვე, ინფორმაციას საინოვაციო პოლიტიკებისა და ტენდენციების შესახებ მთლიანად ევროპაში, ცალკეულ წევრ, კანდიდატ და კონკურენტ ქვეყნებში.

კვლევისა და ინოვაციის ერთიან სივრცეზე (ERA) დაკვირვებისთვის შემუშავებულია გაერთიანების კვლევისა და შემუშავების საინფორმაციო პორტალი კორდის (CORDIS – Community Research and Development Information Service, cordis.europa.eu), რომელზეც მოთავსებულია ანალიზური მონაცემები *ერავოტჩ* (ERAWATCH, cordis.europa.eu/erawatch).

რეგიონების საინოვაციო აქტივობაზე დაკვირვებისთვის მოქმედებს საინფორმაციო სისტემა *Regional Innovation Scoreboard* (www.proinno-europe.eu). მცირე და საშუალო საწარმოების სფეროში პოლიტიკასა და პრაქტიკულ მოქმედებებზე დაკვირვებისთვის შექმნილია საინფორმაციო სისტემა *SME Performance Review* (ec.europa.eu/enterprise/). ამით ჩამონათვალი არ იწურება. მეტი ცნობები მონიტორინგის შესახებ იქნება მოყვანილი წინამდებარე გამოცემის მომდევნო თავებში.

ევროკომისიის ამოცანაა შემუშავებული რეკომენდაციების/ინსტრუქციების შესრულებისა და მოკლე- საშუალო- და გრძელვადიანი მიზნების მიღწევის დროითი განრიგების დადგენა. აგრეთვე, ევროპული ინსტრუქციების, ეროვნული და რეგიონული თავისებურებების გათვალისწინებით, ეროვნულ პოლიტიკაში და კანონმდებლობაში გადატანის მონიტორინგი.

7. საინოვაციო სტრატეგიის კოორდინაციაში მონაწილე მართვის ორგანოები

როგორც ლისაბონის სტრატეგიის განხილვიდან ჩანს, პროცესის კოორდინაციაში ჩართულია ევროკავშირის უმაღლესი მართვის ორგანოები: ევროკავშირის საბჭო; ევროპის პარლამენტი; ევროგაერთიანების საბჭო; ევროკომისია. ლისაბონის სტრატეგიის საერთო კოორდინაციას ახდენს *საწარმოებისა და მრეწველობის გენერალური დირექტორატი*¹². ყველა დანარჩენი გენერალური დირექტორატი და *აღმასრულებელი სააგენტო*¹³ ჩართულია თავთავის მიმართულებით სტრატეგიის დაზუსტებაში, კოორდინაციასა და მონიტორინგში: *კვლევისა და შემუშავების დირექტორატი*¹⁴; *დასაქმებისა და სოციალურ საქმეთა დირექტორატი*; *რეგიონული პოლიტიკის დირექტორატი*; *საინფორმაციო საზოგადოების დირექტორატი*; *განათლებისა და კულტურის დირექტორატი*, *კონკურენციის დირექტორატი*, *რეგიონული პოლიტიკის დირექტორატი* და სხვა. დირექტორატები გეგმავენ და ახორციელებენ ღონისძიებებს, როგორც ცალ-ცალკე, ასევე (უპირატესად) ერთობლივად. გარდა ამისა, საინოვაციო საქმიანობის მხარდაჭერაში ჩართულია 7 *კომისიის სამსახური*, სხვადასხვა *სააგენტოები* და 20 კომიტეტი, რომელშიც წევრი ქვეყნების წარმომადგენლები შედიან. ცალკეული *დირექტორატების*, *სააგენტოებისა* და *სამსახურების* ფუნქციები და როლი საინოვაციო პროცესებში შეიძლება იხილოს საიტზე http://ec.europa.eu/dgs_en.htm.

¹² ევროკომისიის ახალ სტრუქტურაში (2009-2014), რომელიც 2009 წლის ნოემბერში გაცხადდა, ამ დირექტორატს დაერქვა მრეწველობისა და მეწარმეობის დირექტორატი (Industry & Entrepreneurship).

გენერალური დირექტორატები ევროგაერთიანების სამინისტროებს წარმოადგენენ და ევროკომისიას ექვემდებარებიან. დირექტორატის ხელმძღვანელი (კომისიონერი) ევროკომისიის წევრია. დირექტორატების რიცხვია 16. აღმასრულებელი სააგენტოების რიცხვია 6.

¹³ **აღმასრულებელი სააგენტოები (Executive Agencies) ერთი ან რამდენიმე ევროპული პროგრამის შესასრულებლათ გარკვეული დროით ჩამოყალიბებული ორგანიზაციები (მაგ., ევროპული სამეცნიერო საბჭოს აღმასრულებელი სააგენტო – ERC)**

¹⁴ ევროკომისიის ახალ სტრუქტურაში მას *კვლევის, ინოვაციისა და მეცნიერების (Research, Innovation and Science)* დირექტორატი ეწოდა და ფუნქციები გაუფართოვდა.

8. ლისაბონის სტრატეგიის ეროვნული განზომილება


8.1. ეროვნული პოლიტიკების აუცილებლობა

მიუხედავად იმისა, რომ ევროგაერთიანების ხარჯები საინოვაციო ღონისძიებებზე ძალიან დიდია (იხ. ზემოთ), ევროპის წინსვლისთვის გადამწყვეტი მანცა წევრი ქვეყნების მთავრობებისა და მრეწველობის მიერ გატარებული საინოვაციო ღონისძიებებია. ევროკომისიის ღონისძიებების საფინანსო მოცულობა ეროვნული ღონისძიებების მოცულობის უმნიშვნელო ნაწილს შეადგენს. მაგალითად, მე-7 ჩარჩო პროგრამით გათვალისწინებული ხარჯები ევროპაში კვლევასა და შემუშავებაზე საერთო ხარჯების 4% არ აღემატება. შესაბამისად, ხარისხიანი ეროვნული საინოვაციო პოლიტიკების შემუშავება და განხორციელება უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

ეს პოლიტიკები ყველა ქვეყანაში განსხვავებულია. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. პირველი ისაა, რომ ევროკავშირი მეტად რთული პოლიტიკურ-ეკონომიკური წარმონაქმნია. მასში შემავალი ქვეყნები განსხვავებიან ისტორიით, კულტურით (მათ შორის ბიზნეს-კულტურითაც) და განვითარების დონით. მაგალითად, მშპ ერთ სულ მოსახლეზე იცვლება 68 ათასი ევროდან ლუქსემბურგში 10 ათას ევრომდე ბულგარეთში¹⁵. განსხვავებები ისეთი მაჩვენებლის სიდიდებს შორის, როგორცაა კერძო სექტორის ხარჯები კვლევასა და შემუშავებაზე ნაჩვენებია ნახ. 3-ზე. მეორე ისაა, რომ ე. წ. "დამწვევი ეკონომიკები", როგორცაა ყოფილი სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკები, ერთიანი ევროპული ბაზრისა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობის პირობებში, ვერ გაიმეორებენ იმ ისტორიულ გზას, რომელიც გაიარეს ევროპის "ძველმა" ეკონომიკებმა. მესამე ისაა, რომ საერთო ევროპული საგადასახადო კანონმდებლობა მხოლოდ ნაწილობრივ არის შექმნილი (საბაჟო სივრცე ერთიანია, მაგრამ, მაგალითად, დღგ-ს სიდიდე წევრ-ქვეყნებში განსხვავდება). აქედან გამომდინარე, ისეთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტები, როგორცაა საინოვაციო ღონისძიებების ფისკალური წახალისება, მთლიანად ეროვნულ კანონმდებლობას ეყრდნობა. მეოთხე, - ეროვნული კანონმდებლობები განსხვავდება ინოვაციისთვის ისეთ მნიშვნელოვან სფეროში, როგორცაა ინტელექტუალური საკუთრების უფლებები. მაგალითად, საზოგადოებრივი სახსრებით შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების (უნივერსიტეტებში

¹⁵ Economy of the European Union. Wikipedia. (http://en.wikipedia.org/wiki/Economy_of_the_European_Union)

და კვლევით ორგანიზაციებში) განკარგვის საკითხებში ეროვნული პოლიტიკა გადაწყვეტ როლს თამაშობს¹⁶.



ნახ. 3. Intensity of business expenditure on R&D by country, 1995 and 2005 (% of GDP)

გასაგებია, რომ ქვეყნების საერთოევროპული მიზნებისკენ მოძრაობის ტრაექტორიები განსხვავებულია. ამ და ზემოჩამოთვლილი სხვა მიზეზების გამო, ლისაბონის სტრატეგიის მიზნების მისაღწევად არჩეულ იქნა კოორდინაციის ღია მეთოდი ანუ "რბილი მართვა", რომელიც ევროპულ დონეზე საერთო გეზს იძლევა, ხოლო მართვის ეროვნულ დონეს შედარებით დიდ თავისუფლებას ანიჭებს და, შესაბამისად, პასუხისმგებლობასაც აკისრებს. ევროინტეგრაციის ხელისშემშლელი მნიშვნელოვანი გარემოების – ევროპის ეკონომიკური არაერთგვაროვნების – გადალახვის უფრო ეფექტიანი გზა არ არსებობს. უფრო ხისტი მართვა ამ პირობებში არ იმუშავებს.

8.2 ევროპული და ეროვნული პოლიტიკების ურთიერთქმედება

ევროკავშირი ითხოვს, რომ ქვეყანას საინოვაციო პოლიტიკა (როგორც ოფიციალურად დამტკიცებული დოკუმენტთა სისტემა – ეროვნული ლისაბონის პროგრამა) უნდა გააჩნდეს. ესაა გარანტია, რომ ყველა წევრ სახელმწიფოს, ლისაბონის სტრატეგიიდან გამომდინარე, აღებული აქვს საინოვაციო განვითარების სფეროში ვალდებულებები (წინხედვა). მეორე,

¹⁶ Knowledge sharing in the European Research Area. Report of the ERA Expert Group, European Commission, Directorate-General for Research, 2008. EUR 23323 EN; Turning Science into Business: PATENTING AND LICENSING AT PUBLIC RESEARCH ORGANISATIONS. OECD, 2003, 308 p.

რასაც ევროკავშირი ითხოვს, არის ყოველწლიური *ეროვნული ლისაბონის ანგარიში*¹⁷, ანუ განვლილი გზის მიმოხილვა და შედეგები (უკუხედვა). *ეროვნული ლისაბონის პროგრამის* შემუშავება გულისხმობს, ევროპული სტრატეგიიდან გამომდინარე, ისეთი მიზნების დასახვასა და ღონისძიებების გატარებას, რომლებიც ქვეყნის არსებული მდგომარეობას ითვალისწინებს და რეალიზებადია 2007- 2013 წლებში. გარდა ამისა, იგი გულისხმობს, ევროპული სტრატეგიისა და მასთან დაკავშირებული მარეგულირებელი დოკუმენტების (რეგულაციების, დირექტივებისა და რეკომენდაციების) ეროვნულ კანონმდებლობაში გადატანას, რაც, ლისაბონის სტრატეგიაში ასახულ საკითხთა ფართო სპექტრს თუ გავიხსენებთ, რთული ამოცანაა. პრაქტიკულად, იგი კანონმდებლობის ყველა ბლოკს ეხება: საწარმოების შესახებ; საგადასახადოს; საჯარო კვლევითი ორგანიზაციების შესახებ; ინტელექტუალური საკუთრების შესახებ; სოციალური დაცვის; გარემოს დაცვის; განათლებისა და სხვა. მრავალი ქვეყნისთვის იგი, აგრეთვე, ახალი ინსტიტუტების განვითარებას¹⁸ და არსებულის (მაგალითად, სამინისტროებისა და სააგენტოების) ფუნქციების კორექტირებას ნიშნავს.

ევროპული და ეროვნული პოლიტიკების ურთიერთქმედება გამოიხატება მრავალრიცხოვან ერთობლივ ღონისძიებებშიც. ესაა ერთობლივი მოქმედება რეგიონული, ეროვნული და საერთოევროპული პროექტების განსახორციელებლად. იგულისხმება *კონკურენტუნარიანობისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამის პროექტები*, *ევროპული ერთობლივი ინიციატივები*, *ევროპული საწარმოები*, პოლიტიკის (განსაკუთრებით რეგიონულის) შემუშავება, *კლასტერების* (განსაკუთრებით *ინოვაციის პოლუსების*) განვითარება და სხვა.

ურთიერთქმედება ხდება ლისაბონის სტრატეგიის ყველა მიმართულებით, რომელთაგან ზოგიერთით ევროკავშირი ეროვნული სტრატეგიის მეტ ელემენტს განსაზღვრავს, ზოგიერთით ნაკლებს, მაგრამ მისი როლი ყოველთვის საგრძნობია. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ მსს მიმართულებას ძალიან ძლიერი ეროვნული და რეგიონული განზომილება აქვს, ისეთი დოკუმენტი, როგორცაა ევროკომისიის გადაწყვეტილება *ბიზნესისთვის კვლევაში*, *შემუშავებასა და ინოვაციაში სახელმწიფო დახმარების ევროპული ჩარჩოს შესახებ* რეგიონული და ეროვნული მოქმედების ჩარჩოს განსაზღვრავს (რომლის გარეთ

¹⁷ National Lisbon Programme, National Lisbon Report (<http://>

¹⁸ მაგალითად, მსს დახმარების ფონდების, მეცნიერებისა და წარმოების თანამშრომლობის ხელშეწყობის ცენტრების, რეგიონული განვითარების სააგენტოებისა და სხვა.

გასვლა კონკურენციის შესახებ ევროპული წესების დარღვევა იქნება და *კონკურენციის გენერალური დირექტორატის* საყვედურს გამოიწვევს). ევროპულ სტრატეგიას ყველა ქვეყანა აღიარებს, განხორციელების გზებს კი დამოუკიდებლად განსაზღვრავს.

8.3. ეროვნული პოლიტიკის რეალიზაცია

ეროვნული ლისაბონის სტრატეგია ყველა ქვეყანას ოფიციალურად მიღებულ სტრატეგიულ დოკუმენტთა და კანონთა კრებულთა აქვს განსაზღვრული, თუმცა მათი შემადგენლობა, ავტორიზაციის დონე და კანონმდებლობაში ასახვა ყველას განსხვავებული აქვს. საერთო ნიშანია, აგრეთვე, ის რომ ეს სტრატეგიები ან პოლიტიკები შეთანხმებულია ქვეყანაში ეკონომიკური და სოციალური განვითარების სხვა არსებულ პოლიტიკებთან და გეგმებთან. წევრი ქვეყნების დოკუმენტების ნახვა შესაძლებელია საიტზე cordis.europa.eu/erawatch.

ჩანართი 1

ფუძემდებელი დოკუმენტების მაგალითები

უნგრეთში -

ეროვნული რეფორმის პროგრამა ზრდისა და დასაქმებისთვის 2005-2008 (შესწორებული)

მეცნიერების, ტექნოლოგიისა და ინოვაციის საშუალოვადიანი პოლიტიკა (2007-2013).

ირლანდიაში -

ეროვნული განვითარების გეგმა 2007-2013

*მეცნიერების, ტექნოლოგიისა და ინოვაციის სტრატეგია 2006-2013*¹⁹.

ჩეხეთში²⁰ -

ეროვნული კვლევისა და შემუშავების პოლიტიკა (2004)

ეროვნული საინოვაციო პოლიტიკა (2005-2010),

ეროვნული კვლევითი პროგრამა - 2004-2009 და 2006-2011 წლებისთვის,

ძრეწველობაში კვლევისა და შემუშავების პროგრამები - TANDEM და IMPULS,

სამოქმედო პროგრამა საწარმო და ინოვაცია 2007-2013.

მოკლე სტატიის ფორმატი არ იძლევა ყველა ქვეყნის მიმოხილვის საშუალებას. საინოვაციო სტრატეგიების განხორციელების ეროვნულ სქემებზე წარმოდგენის შესაქმნელად განვიხილოთ ერთი ქვეყნის მაგალითი.

¹⁹ <http://www.entemp.ie/science/technology/sciencestrategy.htm>

²⁰ Christian Rammer, Susanne Thorwarth, Mark O.Sellenthin, Rurik Holmberg. Czech Republic. Country Review. Report of the study funded by the European Commission – DG Research, ZEW and Linköping University, March 2007, pp.23.

ირლანდია

ეროვნული განვითარების გეგმის 2007-2013 მიღების შემდეგ ირლანდიის მთავრობამ 2008 წელს გამოაქვეყნა კონცეპტუალური დოკუმენტი ირლანდიის გონიერი ეკონომიკის აგება²¹ რომელსაც ახასიათებს: ეკონომიკური უსაფრთხოება, მაღალი ხარისხის დასაქმება, მტკიცე გარემოსდაცვითი და სოციალური ზომები, უსაფრთხო ენერგეტიკული უზრუნველყოფა და ძლიერი უნარი ნახოს მოგება კრიზისიდან გამოსვლის პროცესში. ეს დოკუმენტი მსოფლიო კრიზისიდან გამოსვლასთანაცაა მჭიდროდ დაკავშირებული.

მიზანი: ეკონომიკური ზრდა შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად, რაც მიღწეულ იქნება: საგადასახადო სტაბილობით; მეცნიერებატევადი უცხოური ინვესტიციების მოზიდვით; განათლებაში და კვლევაში ინვესტირებით, ინოვაციისა და კომერციალიზაციის ხელშეწყობით; უმნიშვნელოვანეს საჯარო ინფრასტრუქტურაში ინვესტირებით.

გონიერი ეკონომიკის კონცეფცია გულისხმობს "ინოვაციური კუნძულის" იდეის განხორციელებას:

- მაღალი ღირებულების კვლევასა და შემუშავებაში მეტი ინვესტიციების ხელშეწყობას, რაც ხარისხიან სამუშაო ადგილებს შექმნის
- მწვანე ეკონომიკაში ინვესტირებას
- კვლევაში მთავრობის უპრეცედენტო ინვესტირების გამოყენება ადგილობრივი მეცნიერებატევადი საწარმოების შესაქმნელად და ამ მიზნით დამწყები ბიზნესებისთვის დახმარება და უცხოეთიდან მენეჯერების მოზიდვის ხელშეწყობას.

მოქმედების სფეროები: საფინანსო, განათლების, კვლევის, კომერციალიზაციის, მეწარმეობის, იმპორტ-ექსპორტის, გარემოს დაცვა, ენერგეტიკა, საჯარო სამსახური, ტრანსპორტი, კომუნიკაცია, კანონმდებლობა.

ირლანდია საკმაოდ ძლიერ დაზარალდა ეკონომიკური კრიზისის პროცესში. გამოსავალს იგი ქვეყანაში აქამდე არსებული ინოვაციური ტენდენციების კიდევ მეტად გაძლიერებაში ხედავს. ღონისძიებები ეკონომიკის ყველა სფეროს მოიცავს. ეს დოკუმენტი ნიმუშია თანამედროვე ევროპული ხედვის, რომელიც ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას ინოვაციის პროცესებთან აკავშირებს.

8.4. ეროვნული პოლიტიკის შემუშავებული და განმახორციელებელი ორგანოები

ეროვნული პოლიტიკის, ისევე, როგორც ევროპულის, განხორციელებაში პრაქტიკულად მართვის ყველა ორგანო და ხელისუფლების ყველა შტო მონაწილეობს. იმ ფაქტის გამო,

²¹ www.taoiseach.gov.ie/eng/Building_Ireland's_Smart_Economy

რომ პოლიტიკის ერთი ინსტრუმენტი განიცდის პოლიტიკების ნაერთში არსებული სხვა ინსტრუმენტების ზეგავლენას, მნიშვნელოვანი ხდება ამ ორგანოების საქმიანობის კოორდინირების ამოცანა. როგორც წესი, ქვეყნები ქმნიან მაღალი დონის საუწყებათაშორისო მაკოორდინირებელ ორგანოს, რომელსაც ხშირად პრემიერ მინისტრი ან სხვა უმაღლესი თანამდებობის პირი უდგას სათავეში, იმის და მიხედვით, თუ როგორია ქვეყნის მართვის სქემა.

ჩანართი 3

ლიტვა²²

მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და საინოვაციო განვითარების კომისია ქვეყნის პრემიერ-მინისტრის თავმჯდომარეობით 2005 წელს შეიქმნა. მისი ამოცანაა ყველა მონაწილე სამინისტროს (ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, განათლებისა და მეცნიერების, სოციალური უსაფრთხოებისა და შრომის) მუშაობის კოორდინაცია ინოვაციის სფეროში. ამ სტრუქტურისკენ ლიტვა ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიოდა. მთავრობასთან, ეკონომიკისა და განათლების სამინისტროების მოქმედების კოორდინაციისთვის, ჯერ *მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კომისია* შეიქმნა (2002), მაგრამ მას, მისი საკონსულტაციო ბუნების გამო, საკმაო ინსტიტუციური ძალა არ გააჩნდა. პარალელურად არსებობდა და ამჟამადაც არსებობს *ლიტვის სამეცნიერო საბჭო*, რომელიც სამეცნიერო საზოგადოების საქმიანობის კოორდინაციას, კვლევისა და ტექნოლოგიური შემუშავების პრიორიტეტების დადგენასა და კვლევის საკონკურსო დაფინანსებას აწარმოებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკურაციო სფეროში (კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტები, კოლეჯები და სახელმწიფო კვლევითი ორგანიზაციები). 2007 წლიდან საბჭო მუდმივად მოქმედი სააგენტო გახდა.

მრეწველობაში კვლევების მიმდინარეობისთვის პასუხისმგებელია ეკონომიკის სამინისტრო, რომელშიც, საინოვაციო ამოცანების შესაბამისად, აგრეთვე მიმდინარეობდა სტრუქტურული გარდაქმნები: 2004 წელს შეიქმნა *ინოვაციისა და ტექნოლოგიის განყოფილება*, ხოლო 2006 წელს ინოვაციის ფუნქციები საინვესტიციო ფუნქციებთან გაერთიანდა და შეიქმნა *ინვესტიციებისა და ინოვაციის სამმართველო*.

საინოვაციო სიტემებში მიმდინარე პროცესების მართვაში მნიშვნელოვანია სპეციალური სააგენტოებისა და ფონდების როლი. ბოლო მოყვანილ მაგალითში ნახსენებია მეცნიერების საკონკურსო დაფინანსების სააგენტო. სხვა სააგენტოები ან ფონდები მუშაობენ მრეწველობის, უმთავრესად მცირე და საშუალო ინოვაციური საწარმოებისთვის გრანტებსა

²² Lithuania: Your Partner in Research and Experimental Development. Ministry of Education and Science of the Republic of Lithuania, Vilnius, 2006. 29 pp.;
INNO-Policy TrendChart - Policy Trends and Appraisal Report. LITHUANIA. European Commission, Enterprise Directorate-General, 2008. 128 pp.

და სხვა დახმარებებზე. ეს უკანასკნელი ევროგაერთიანების პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში არსებობენ.

ჩანართი 4

შედეგი

შედეგი ინოვაციისა და კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქვეყანაა²³. ამის მიუხედავად, მთავრობის შემფოთებას იწვევს მაღალტექნოლოგიურ მრეწველობაში კვლევაზე ხარჯების შემცირების ტენდენცია. ნაკლოვანებად ითვლება, აგრეთვე, უცხოურ მცირე და საშუალო საწარმოებთან შეზღუდული კავშირები, დამწყები კომპანიების მცირე რაოდენობა, მსს უმრავლესობაში კვლევაზე ხარჯების ნაკლებობა და საჯარო სექტორში წარმოებული კვლევების სიმცირე (კვლევების საერთო მოცულობის 15%). ამან 2008 წელს *კვლევისა და ინოვაციის შესახებ ახალი კანონის* მიღება გამოიწვია. მოსალოდნელია, რომ შედეგად 2012 წლისთვის კვლევაში წლიური ინვესტიციები 500 მლნ ევროთი გაიზრდება. დასახულ პროგრამაში დიდ როლს თამაშობს *საწარმოების, ენერჯისა და კომუნიკაციების სამინისტროსთან* არსებული სააგენტო *ვინოვა*²⁴, მოწოდებული გააძლიეროს უნივერსიტეტებს, კვლევით ცენტრებსა და კერძო საწარმოებს შორის კავშირი. მას აქვს მსს კვლევითი აქტივობის საფინანსო დახმარებაზე მიმართული განსაკუთრებული საინვესტიციო პროგრამა.

ზოგიერთი ევროპელი მკვლევარი თვლის, რომ ეროვნული საინოვაციო პოლიტიკის როლი თანდათან მცირდება²⁵, ხოლო იზრდება საერთოევროპული და რეგიონული პოლიტიკების როლი. ყოველ შემთხვევაში, რეგიონული განვითარების პოლიტიკა ყველა წევრი ქვეყნის ეროვნული საინოვაციო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია, ხოლო ევროპულ დონეზე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ევროგაერთიანების ბიუჯეტის 1/3 რეგიონების განვითარებას ხმარდება.

9. რეგიონული საინოვაციო პოლიტიკა

ევროგაერთიანებაში რეგიონების განვითარების მიმართ დამოკიდებულება ევროინტეგრაციის პროცესის ერთ-ერთი მკაფიო გამოვლინებაა, რომელშიც ევროკომისიის, ეროვნული მთავრობებისა და რეგიონული ხელისუფლებების ერთიანი მისწრაფებები მჟღავნდება ორი მიმართულებით:

- 1) ევროპული ქვეყნების გარკვეული რეგიონების ჩამორჩენის აღმოფხვრა;
- 2) რეგიონული კონკურენტუნარიანი კლასტერების განვითარება.

აქედან გამომდინარე, ევროგაერთიანებამ იზრუნა ისეთი მართვის სიტემის შექმნაზე, რომელიც კონკურენტუნარიანი რეგიონების ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს. წლების

²³ European Innovation Score and the World Economic Forum

²⁴ www.vinnova.se/In-English

²⁵ Stefan Kuhlmann. Multi-level innovation systems and the need for intra-European innovation policy.

Conference *Knowledge for Growth*, Toulouse, 7-9 July, 2008

Stefan Kuhlmann. New challenges and the future of NIS approaches. *Conceptual Considerations*. Workshop *Future Orientations for Science, Technology and Innovation Policy*, OECD Working Party on Innovation and Technology Policy (TIP) Paris, 14 December 2009

განმავლობაში ფუნქციონირებს რეგიონული პოლიტიკის გენერალური დირექცია²⁶, რომელიც სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური განვითარების რეგიონული პოლიტიკის გამტარებელია. ევროკავშირის დონეზე რეგიონული განვითარების ღონისძიებებს აფინანსებენ უკვე ნახსენები სტრუქტურული ფონდები: რეგიონული განვითარების ევროპული ფონდი (ERDF); ევროპული სოციალური ფონდი. გარდა ამისა, ერთობის ფონდი და ევროპული საინვესტიციო ფონდი. რეგიონულ განვითარებაზე საერთოევროპული (ევროკომისიის) ბიუჯეტის დიდი ნაწილი იხარჯება (36% – 50 მილიარდი ევრო წლიურად). ამ თანხის დიდი ნაწილი რეგიონებში საინოვაციო პროექტების განხორციელებაზე იხარჯება.

მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ევროკავშირის რეგიონების ასამბლეა²⁷ და ინოვაციური რეგიონების ევროპული ქსელი²⁸. ეს უკანასკნელი საინოვაციო ღონისძიებებს სამი მიმართულებით ახორციელებს:

- რეგიონული პოლიტიკებისა და სტრატეგიების შემუშავება
- რეგიონებში საინოვაციო ინფრასტრუქტურის განვითარების მხარდაჭერა
- რეგიონებში კონკრეტული პროექტების მხარდაჭერა.

ევროპაში არა ერთი მაგალითია იმის, თუ როგორ გაიყვანა გააზრებულმა საინოვაციო პოლიტიკამ ჩამორჩენილი რეგიონები (სადაც მშპ სულზე საშუალოევროპულის 75% ან ნაკლებია) საერთოევროპულ დონეზე. კარგად ცნობილი მაგალითებია სიცილია და სარდინია იტალიაში. მაგრამ რეგიონული საინოვაციო პოლიტიკის საგანი არაა მხოლოდ ჩამორჩენილი რეგიონები, არამედ განვითარებულიც. უმთავრესი ინსტრუმენტია რეგიონული საწარმო-კლევითი (სამრეწველო-ტექნოლოგიური) კლასტერების²⁹ განვითარება. ეს მექანიზმი ევროპაში იხილება, როგორც კონკურენტუნარიანობის, ინოვაციისა და რეგიონული განვითარების მთავარი გამწევი მექანიზმი, რომლის გაძლიერებას ემსახურება როგორც ეროვნული ზომები, ასევე ევროპული ინსტრუმენტები, კერძოდ კლევების მე-7 ჩარჩო პროგრამა, ერთობის ფონდი და კონკურენტუნარიანობისა და ინოვაციის პროგრამა³⁰. ამას ემატება, აგრეთვე, რეგიონული ხელისუფლების ინსტრუმენტები.

²⁶ Directorate General for Regional Policy (http://ec.europa.eu/dgs/regional_policy/index_en.htm)

²⁷ The Assembly of European Regions. 1985 წელს დაფუძნებული, აერთიანებს 270 რეგიონს, 16 რეგიონთაშორის ორგანიზაციას 33 ქვეყნიდან. მისი მიზანია რეგიონების მხარდაჭერა და ევროპულ პოლიტიკაში მათი წონის გაზრდა. <http://www.aer.eu/en/about-aer/vocation.html>

²⁸ Innovating Regions in Europe (IRE) network. (www.innovating-regions.org)

²⁹ კლასტერი (cluster) ესაა გეოგრაფიულად კონცენტრირებული ურთიერთდაკავშირებული საწარმოების, კლევითი ცენტრების, მიმწოდებლების, გამსაღებლებისა და სხვა დაინტერესებული/მონათესავე ორგანიზაციების ერთობლიობა.

³⁰ Competitiveness and Innovation Programme. (ec.europa.eu/cip/index_en.htm)

ჩამორჩენილ რეგიონებში კლასტერიზაცია საწარმოთა (განსაკუთრებით მსს) დიდი ჯგუფების თანამშრომლობის გზით საშუალო-ევროპულ დონეზე გასვლას ისახავს მიზნათ, ხოლო განვითარებულ რეგიონებში – მსოფლიო მნიშვნელობის *კონკურენტუნარიანობის პოლუსების*³¹ შექმნას, რომლებიც კლასტერების საფუძველზე განვითარების მწვერვალს წარმოადგენენ. *კონკურენტუნარიანობის პოლუსი* – ესაა მსოფლიო დონისა და მნიშვნელობის ტექნოლოგიური კლასტერი. ითვლება, რომ ევროპაში რეგისტრირებულ 2000 კლასტერს შორის საინოვაციო პოლუსები ცოტაა.

რეგიონული ხელისუფლების მხრიდან საინოვაციო განვითარების მხარდაჭერა აისახება: რეგიონული პოლიტიკის შემუშავებაში; საინოვაციო ინფრასტრუქტურის ხელშეწყობაში (ტექნოპარკები, ბიზნეს-ინკუბატორები, საკონსულტაციო და ტექნოლოგიის გადაცემის ცენტრები, კერძო და საჯარო სექტორის თანამშრომლობის სქემები და სხვა); რეგიონული პროექტების დაფინანსებაში. სამივე მიმართულებით რეგიონულ ინიციატივებს მხარს უჭერენ ევროპული და ეროვნული მართვის ორგანოები. ამდენად, რეგიონული განვითარება ევროინტეგრაციის მნიშვნელოვანი მექანიზმია. განვითარების პროგრამებში რეგიონული ხელისუფლების საკუთარი სახსრებით მონაწილეობის დონე დამოკიდებულია ქვეყნის ტიპზე. მაგალითად, ფედერალური მოწყობის ქვეყანაში, როგორცაა გერმანია, მიწების საფინანსო და ფისკალური შესაძლებლობები გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ცენტრალიზებულ სახელმწიფოებში. სათანადოდ, ქვეყნებში რეგიონული ხელისუფლების ზემოქმედება ამ პროცესებზე შეიძლება "ნისტი" ან "რბილი" იყოს (ნახ. 1)

10. დასკვნა

საკითხს წმინდა ფორმალურად თუ მივუდგებით, ლისაბონის სტრატეგიით დასახული მიზნების განხორციელებას, უნდა ვაღიაროთ, რომ მრავალი მიზანი ვერ იქნა მიღწეული. კვლევასა და შემუშავებაზე ხარჯებმა დასახულ 3% ვერ მიაღწია, ვენჩურული კაპიტალის მოცულობა ევროპაში კვლავ ჩამორჩება აშშ-სა და იაპონიის დონეს. ევროგაერთიანების პატენტი და ერთიანი საპატენტო სასამართლო ისევ განუხორციელებელ მიზნად რჩება.

³¹ Opinion of the European Economic and Social Committee on 'The role of technology parks in the industrial transformation of the new Member States'. Official Journal of the European Union, 17.3.2006. (2006/C 65/11).

სტანდარტიზაციის პროცესი კვლევის შედეგებთან და ბაზრის მოთხოვნებთან არაა საკმარისად სინქრონიზებული.

მიუხედავად ევროკავშირის და წევრი სახელმწიფოების ერთობლივი ძალისხმევისა, ინოვაცია და ახალი წამოწყებების სულისკვეთება არ აღიქმება მთელს ევროპაში ჯეროვნად, როგორც ფასეულობა.

მაგრამ განხილვას უფრო ოპტიმისტურ დასკვნებამდე მივყავართ.

კერძოდ, ტენდენციები მთლიანობაში დადებითია. ევროგაერთიანების ინტეგრალური საინოვაციო ინდექსის ჩამორჩენა აშშ-გან შემცირდა 41%-დან 2004 წელს 28%-მდე 2008 წელს³². უმუშევრობის შემცირება (ლისაბონის სტრატეგიის უმთავრესი მიზანი) მოხდა 12%-დან 2000 წელს 7%-დე 2008 წელს. კვლევასა და შემუშავებაში იმ კომპანიების მიერ ინვესტირება, რომელთა შტაბ-ბინები ევროპაშია, გაიზარდა 2008 წელს წინა წელთან შედარებით 8.1%-ით (მსოფლიო მაჩვენებელი - 6.9%, აშშ - 5.7%, იაპონია - 4.4%).

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ ევროგაერთიანება სწორედ ლისაბონის სტრატეგიის მოქმედების წლებში მკვეთრად გაფართოვდა. მაღალგანვითარებულ მცირემოსახლეობიან ქვეყნებთან ერთად (მაგალითად, შვეცია), მას შეუერთდა შედარებით დაბალგანვითარებული ყოფილი სოციალისტური ქვეყნები დიდი მოსახლეობით (პოლონეთი, რუმინეთი და სხვები), რამაც მაჩვენებლები დაბლა დაწია. ამას დაემატა 2008 წელს განვითარებული მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი. აქედან გამომდინარე, სტრატეგიის წარუმატებლობაზე საუბარი შეცდომა იქნებოდა.

ამ გამოკვლევის შესრულებისა და წერის პროცესში ევროპაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა (რაც ჩვენ სამუშაოს ართულებს). ორი წლის დაყოვნების შემდეგ, საბოლოოდ, რატიფიცირებულ იქნა 2007 წლის 13 დეკემბრის ევროკავშირის შესახებ ლისაბონის ახალი შეთანხმება (The Lisbon Treaty on European Union). 2009 წელს ევროკომისიამ გაავრცელა ლისაბონის სტრატეგიის მოკლე კრიტიკული შეჯამება, რომელიც დაედება საფუძვლად მომავალ საინოვაციო სტრატეგიას³³. 2009 წლის ნოემბერში გაცხადდა ევროკომისიის ახალი, ინოვაციაზე უფრო მეტად ორიენტირებული სტრუქტურა (2009-

³² EUROPEAN INNOVATION SCOREBOARD 2008. COMPARATIVE ANALYSIS OF INNOVATION PERFORMANCE. January 2009, p.18 (www.proinno-europe.eu/EIS2008)

³³ Reviewing Community innovation policy in a changing world. COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE EUROPEAN PARLIAMENT, THE COUNCIL, THE EUROPEAN ECONOMIC AND SOCIAL COMMITTEE AND THE COMMITTEE OF THE REGIONS. COM(2009) 442 final. Brussels, 2.9.2009

2014). მზადდება *ინოვაციის ევროპული აქტი*, რომელიც 2010 წლის გაზაფხულზე გამოქვეყნდება.

მომავალი სტრატეგიის ზუსტი შინაარსი არ არის ცნობილი, თუმცა, განვითარების საინოვაციო სტრატეგია, სავარაუდოდ, უცვლელი დარჩება. კონკრეტული ინსტრუმენტები, როგორც გაერთიანებაში, ასევე წევრ ქვეყნებში არსებული, შეიცვლება მეტი სტანდარტიზაციისა და უნიფიკაციის, აგრეთვე, გამარტივების მიმართულებით.

დანართი 1.

ლისაბონის სტრატეგიის ძირითადი კომპონენტები

1. დასაქმება, ეკონომიკური რეფორმა და სოციალური თანხმობა

1.1. საინფორმაციო საზოგადოება ყველასთვის

ევროკავშირის საბჭომ მოუწოდა:

- ევროკავშირის საბჭოს მიიღოს ევროპარლამენტთან ერთად 2000 წელს კანონმდებლობა ელექტრონული კომერციის, საავტორო უფლებების, ელექტრონული ფულის, საფინანსო მომსახურების დისტანციური გაყიდვის, ამ მომსახურების იურიდიული სტატუსისა და სასამართლო გადაწყვეტილებებისა და ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიების კონტროლის შესახებ. ევროკომისიამ და საბჭომ შეიმუშაონ ელექტრონული კომერციის მიმართ ნდობის აძალეების ღონისძიებები, კერძოდ, დაგების გადაწყვეტის ალტერნატიული სისტემების მეშვეობით;

- საბჭოსა და ევროპარლამენტს დაასრულონ წინადადებები ტელეკომუნიკაციების საკანონმდებლო ჩარჩოს შესაქმნელად; საბჭოს: მიიღოს ზომები, რათა დაკმაყოფილდეს მომავალი მობილური კომუნიკაციის სისტემების მოთხოვნები სიხშირეების მიმართ; დაასრულოს 2001 წელს სრულად ინტეგრირებული (ევროპის მასშტაბით) და ლიბერალიზირებული ტელეკომუნიკაციების ბაზრის შექმნა;

- წევრ სახელმწიფოებს უზრუნველყონ ევროკომისიასთან ერთად, 2000 წლის ბოლოსთვის, გაზრდილი კონკურენცია ადგილობრივი შეღწევის ქსელებში ინტერნეტით სარგებლობის ფასების მკვეთრად დაწევის მიზნით;

- წევრ სახელმწიფოებს 2001 წლის ბოლოსთვის უზრუნველყონ, რომ ევროკავშირის ყველა სკოლას ჰქონდეს ინტერნეტში და მულტიმედია რესურსებში შეღწევის საშუალება; ყველა მასწავლებელი გადაამზადონ ამ რესურსებით სარგებლობის მიმართულებით 2002 წლის ბოლოსთვის;

- წევრ სახელმწიფოებს უზრუნველყონ ძირითად საჯარო მომსახურების სისტემებში ელექტრონული შეღწევა;

- ევროკავშირის საბჭოს და წევრ სახელმწიფოებს, ევროპულ საინვესტიციო ბანკთან ერთად, უზრუნველყონ მთლიანად ევროპაში დაბალფასიანი მაღალსიჩქარიანი ურთიერთდაკავშირებული ქსელების მოქმედება ინტერნეტით სარგებლობისთვის, დააჩქარონ უახლესი საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და საინფორმაციო შიგთავსის შემუშავება ამ ქსელებისთვის. სპეციფიური მიზნები

ჩამოყალიბონ "ელექტრონული ევროპის სამოქმედო გეგმაში" (eEurope Action Plan)³⁴, რომელიც უნდა შემუშავდეს.

საინფორმაციო ტექნოლოგიები გამოყენებულ უნდა იქნას კულტურული მრავალფეროვნების დემონსტრაციისთვის, საინფორმაციო იზოლაციის მოსასპობად, უნარშეზღუდული მოქალაქეების სოციალური ინტეგრაციისთვის, გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების განვითარებისთვის. ეროვნული ინიციატივების წასახალისებლად და შესრულების უზრუნველსაყოფად უნდა შეიქმნას მათი შედარებისა და მონიტორინგის სისტემა.

1.2. კვლევისა და ინოვაციის ევროპული სივრცის დაფუძნება

ეკონომიკური ზრდის, დასაქმებისა და სოციალური ერთობის უზრუნველყოფაში კვლევისა და შემუშავების როლის გათვალისწინებით, ევროკავშირი გეგმავს მიაღწიოს ევროკომისიის კომუნიკაციაში "ევროპული კვლევითი სივრცისკენ"³⁵ ჩამოყალიბებულ მიზნებს. ამისთვის გამოიყენება ევროპული კავშირის შესახებ შეთანხმებით (the Treaty) გათვალისწინებული ყველა ინსტრუმენტი. ლისაბონის სტრატეგია მოითხოვს, რომ ევროკავშირის საბჭოს, ევროკომისიისა და ეროვნული მთავრობების ყველა ქმედება ევროპული კვლევითი სივრცის შექმნაზე იყოს მიმართული.

კერძოდ:

- განვითარდეს მექანიზმები ეროვნული და ერთობლივი კვლევების დაკავშირებისა და დაჯგუფებისთვის ნებაყოფლობით არჩეული მიზნების ირგვლივ, რათა ცალკეულ ქვეყნებში კვლევაზე მიმართული რესურსები გაერთიანდეს მეტი ეფექტის მისაღებად; შეიქმნას ევროკავშირის საბჭოსთვის ამ საბუთის შედეგების რეგულარულად მოხსენების მექანიზმი; 2001 წლისთვის მოხდეს უმაღლესი დონის (სრულყოფილი) კვლევისა და შემუშავების აღწერა წევრ-სახელმწიფოებში, რათა შესაძლებელი გახდეს სრულყოფილების გავრცელება;

- საგადასახადო პოლიტიკის, სარისკო კაპიტალისა და ევროპული საინვესტიციო ბანკის სახსრების მეშვეობით გაუმჯობესდეს გარემო კვლევაში კერძო ინვესტირებისთვის, პარტნიორობისთვის კვლევისა და შემუშავების სფეროში, მაღალტექნოლოგიური დამწვები ფირმებისთვის;

³⁴ eEurope 2002. An Information Society For All. Action Plan prepared by the Council and the European Commission for the Feira European Council 19-20 June 2000. COUNCIL OF THE EUROPEAN UNION, COMMISSION OF THE EUROPEAN COMMUNITIES, Brussels, 14.6.2000

³⁵ Towards a European Research Area. Communication from the Commission to the Council, the European Parliament, the Economic and Social Committee and the Committee of the Regions. COMMISSION OF THE EUROPEAN COMMUNITIES, Brussels, 18 January 2000, COM (2000) 6

- ევროპული საინვესტიციო ბანკის მხარდაჭერით ხელი შეეწყო 2001 წლის ბოლოს სამეცნიერო ელექტრონული კომუნიკაციისთვის ძალიან მაღალი სიჩქარის ტრანსევროპული ქსელის შექმნას, რომელიც კვლევით ინსტიტუტებს, უნივერსიტეტებს, სამეცნიერო ბიბლიოთეკებსა და ცენტრებს, მომავალში კი სკოლებსაც დააკავშირებს;

- 2002 წლისთვის აცილებულ იქნას ევროპაში მკვლევართა მობილობისა და მაღალკვალიფიციური ტალანტების მოზიდვის შემაფერხებელი ფაქტორები;

- 2001 წლის ბოლოს ამოქმედდეს ევროგაერთიანების პატენტი და სასარგებლო მოდელი, რათა ევროკავშირის მასშტაბით საპატენტო დაცვა გახდეს ისეთივე უნივერსალური და იაფი, როგორც კონკურენტებთან.

1.3. ინოვაციური ბიზნესის, განსაკუთრებით მცირე და საშუალოს, დაწყებისა და განვითარებისთვის მეგობრული გარემოს შექმნა

- 2000 წელს ევროგაერთიანების საბჭომ და კომისიამ უნდა ჩამოაყალიბონ მონიტორინგის სიტემა ისეთ მაჩვენებლებზე, როგორცაა კომპანიის დასაფუძნებლად საჭირო დრო და სახსრები, ბიზნესისა და კვლევის სპეციალისტთა რაოდენობა, გადამზადების ხელმისაწვდომობა;

- კომისიამ სასწარაფოდ მოამზადოს კომუნიკაცია (Communication) სამეწარმეო, ინოვაციური და ღია ევროპის შესახებ, აგრეთვე, მრავალწლიანი პროგრამა საწარმოებისა და მეწარმეობის თაობაზე 2001-2005 წლებისთვის³⁶;

- საბჭომ და კომისიამ მოამზადონ მცირე კომპანიების ევროპული ქარტა, რომელიც განიხილავს მცირე კომპანიებს სამუშაო ადგილების მთავარ გენერატორებად და უპასუხებს მათ მოთხოვნებს;

- საბჭომ და კომისიამ 2000 წელს მოამზადონ ანგარიში ევროპული საინვესტიციო ბანკისა და ევროპული საინვესტიციო ფონდის ინსტრუმენტების მიმდინარე შესწავლის თაობაზე, რათა დაფინანსებას მიმართულება დამწყები ბიზნესების, მაღალტექნოლოგიური ფირმების, მიკრო-საწარმოებისა და სხვა კაპიტალ-სარისკო ინიციატივებისკენ შეიცვალოს;

1.4. ეკონომიკური რეფორმები, მიმართული შიდა ბაზრის შექმნის დასრულებაზე და სრულად ამოქმედებაზე

შიდა ბაზრის სტრატეგიიდან³⁷ გამომდინარე, მნიშვნელოვანია კონკურენციისა და სახელმწიფო დახმარების სამართლიანი ერთიანი წესების დადგენა, რათა ბიზნესებმა, კონკურენციის საწყის ეტაპზე, თანაბარ პირობებში წარმატებით იმოქმედონ.

³⁶ On a multiannual programme for enterprise and entrepreneurship, and in particular for small and medium-sized enterprises (SMEs) (2001-2005). Council Decision of 20 December 2000 (2000/819/EC). OJ L 333 of 29.12.2000

კომისიამ, საბჭომ და წევრმა სახელმწიფოებმა მათი უფლებამოსილების ფარგლებში:

- შეიქმნა 2000 წლის ბოლომდე მომსახურებისთვის ბარიერების ჩამოშორების სტრატეგია;
- დააჩქარონ ლიბერალიზაცია გაზის, ელექტრობის, ფოსტისა და ტრანსპორტის, მათ შორის საჰაერო სივრცის მართვის სფეროებში;
- დაასრულონ საჯარო შესყიდვების წესების განახლება, რათა მცირე საწარმოებისთვის მონაწილეობა ხელმისაწვდომი გახდეს და, აგრეთვე, 2003 წლისთვის სახელმწიფო შესყიდვები ონლაინ რეჟიმში გახდეს შესაძლებელი;
- გაამარტივონ მარეგულირებელი გარემო, მათ შორის საჯარო ადმინისტრაციის მოქმედება, როგორც ეროვნულ, ასევე გაერთიანების დონეზე და ამისთვის მოაწესრიგონ ევროგაერთიანების კანონმდებლობის ეროვნულში გადატანის საკითხები.
- შეცვალონ ცალკე კომპანიებისა და სექტორებისთვის სახელმწიფო დახმარება ევროგაერთიანების ჰორიზონტალური მიზნების მხარდაჭერის მიმართულებით, როგორცაა დასაქმება, რეგიონული განვითარება, გარემოს დაცვა, სწავლება და კვლევა.

1.5. ეფექტიანი და გაერთიანებული საფინანსო ბაზრები

გამჭვირვალე საფინანსო ბაზრები დიდ როლს თამაშობენ ახალი იდეების, სამეწარმეო კულტურისა და ახალი ტექნოლოგიების ათვისებაში. სარისკო კაპიტალის ხელმისაწვდომობა გადამწყვეტია მცირე ინოვაციური საწარმოებისა და საშუალო ადგილების შექმნისთვის.

ევროგაერთიანებაში საფინანსო მომსახურების შიდა ბაზრის დასრულების მიზნით:

- 2005 წლისთვის შესრულებულ იქნას საფინანსო მომსახურების სამოქმედო გეგმა, რათა: საინვესტიციო კაპიტალი რაც შეიძლება ხელმისაწვდომი გახდეს, მათ შორის მცირე საწარმოებისთვის, საერთო-ევროპულ საწყისებზე, აქციების გამოძიებათათვის ერთიანი (უნიფიცირებული) პასპორტის შემოღების გზით; გაიზარდოს კომპანიათა საფინანსო ანგარიშების თავსებადობა; გაადვილდეს სამთავრობო ვალდებულებების ყიდვისა და გადაყიდვის პროცედურები, მათ შორის ტრანს-სასაზღვრო და სხვა;
- 2003 წლისთვის შესრულებულ იქნას სარისკო კაპიტალის სამოქმედო გეგმა;
- გაუზღობდეს კომპანიების შთანთქმის, საკრედიტო ინსტიტუტებისა და სადაზღვევო კომპანიების რესტრუქტურისა და დახურვის წესები, რათა საფინანსო ბაზრის მოქმედება უფრო ეფექტიანი გახდეს;

³⁷ The Strategy for Europe's Internal Market. Communication from the Commission to the European Parliament and the Council. EUROPEAN COMMISSION, COM (1999) 624 final

- დასრულდეს მიმდინარე მუშაობა საგადასახადო პაკეტზე, პელსინკის ევროპული საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად.

1.6. მაკრო-ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინირება: საფინანსო-საანგარიშო კონსოლიდაცია, საჯარო ფინანსების ხარისხი და მდგრადობა

მაკრო-ეკონომიკური სტაბილობის უზრუნველყოფასთან, დასაქმებისა და ზრდის სტიმულირებასთან ერთად, მაკრო-ეკონომიკურმა პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკაზე გადასვლას. ევროკავშირის საბჭო სთხოვს ევროგაერთიანების საბჭოსა და ევროკომისიას შეაფასონ, შედარებადი მონაცემებისა და ინდიკატორების გამოყენებით, ზომები შემდეგი მიმართულებებით:

- საგადასახადო ზეწოლის შემცირება მშრომელებზე, განსაკუთრებით შედარებით დაბალკვალიფიციურებსა და დაბალანაზღაურებულებზე; საგადასახადო და დახმარების (benefit) სისტემების დადებითი ეფექტი დასაქმებასა და გადამზადებაზე;
- საჯარო სახსრების გადამისამართება კაპიტალის – როგორც ფიზიკურის, ასევე ადამიანურის – კონცენტრირების მიმართულებით კვლევისა და შემუშავების, ინოვაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერის მიზნით;
- საჯარო სახსრების გრძელვადიანი მდგრადობა; მათი გავლენის განზომილებები, მათ შორის ხანშიშესული მოსახლეობის გავლენა და სხვა.

2. ევროპული სოციალური მოდელის მოდერნიზება ადამიანებში ინვესტირებისა და აქტიური კეთილდღეობის სახელმწიფოს აშენების გზით

2.1. განათლება და გადამზადება ცოდნის ეკონომიკის პირობებში ცხოვრებისა და მუშაობისთვის

ადამიანებია ევროპის მთავარი სიმდიდრე. შესაბამისად, კავშირის პოლიტიკის მთავარი მიზანი ადამიანებია. ადამიანებში ინვესტირებამ უნდა განსაზღვროს ევროპის ადგილი ცოდნის ეკონომიკაში და უზრუნველყოს, რომ უმუშევრობა, სოციალური გათიშულობა და სიღარიბე არ იქნება ამ ეკონომიკის განუყოფელი ნაწილი.

წევრმა ქვეყნებმა, ევროგაერთიანების საბჭოსთან და კომისიასთან ერთად უნდა უპასუხონ შემდეგ მიზნებს:

- არსებითად გაზარდონ მოსახლეობის სულზე ადამიანურ რესურსში ინვესტირება;

- განახევრონ 18-24 წლის ასაკში მყოფ, მხოლოდ არასრული საშუალო განათლების მქონე, აღადიანთა რიცხვი, ვინც არ იმყოფება შემდგომი სწავლისა და გადამზადების პროცესში;
- ინტერნეტში ჩართული სკოლები და მომზადების ცენტრები უნდა განვითარდნენ ყველასთვის მისაწვდომ, მრავალმიზნობრივ ადგილობრივი განათლების ცენტრებად, რომლებიც ფლობენ სხვადასხვა ჯგუფებისთვის განკუთვნილ სწავლების მეთოდებს; სკოლებს, მომზადების ცენტრებს, ფირმებსა და კვლევით ორგანიზაციებს შორის უნდა ჩამოყალიბდეს საწავლო პარტნიორობა;
- უწყვეტი განათლების (lifelong learning) გზით მისაწოდებელი საბაზო უნარების დადგენა: საინფორმაციო ტექნოლოგიები, უცხო ენები, ტექნოლოგიური კულტურა, სამეწარმეო უნარები, სოციალური უნარები; შემოღებულ იქნას საინფორმაციო ტექნოლოგიების საწყისების დამადასტურებელი ერთიანი ევროპული დიპლომი, როგორც ციფრული წერა კითხვის ცოდნის გავრცელების მექანიზმი;
- 2000 წლის ბოლოსთვის დაგეგნილ იქნას საშუალებები სტუდენტების, მასწავლებლებისა და მკვლევარების მობილობის გასაზრდელად, როგორც არსებული ევროპული პროგრამების მეშვეობით (Socrates, Leonardo, Youth)³⁸, ასევე კვალიფიკაციის, სწავლებისა და გადამზადების ხანგრძლივობის აღიარების გზაზე შეფერხებების აცილების გზით;
- ავტობიოგრაფიული მონაცემების საერთოევროპული ფორმატის შემუშავება, როგორც სასწავლო დაწესებულებების, ასევე დამქირავებლების მიერ ცოდნის შესაფასებლად, მობილურობის გაზრდის მიზნით;
- განათლების სისტემის მომავალი მიზნების ჩამოყალიბება ლუქსემბურგისა და კარდიფის³⁹ პროცესების შესაბამისად.

2.2. მეტი და უკეთესი სამუშაო ადგილი ევროპისთვის: დასაქმების აქტიური პოლიტიკის განვითარება

- გაუმჯობესდეს დაქირავებადობა და შემცირდეს სხვაობა კვალიფიკაციასა და მოთხოვნილებებს შორის; შეიქმნას საერთოევროპული მონაცემთა ბაზა სამუშაო ადგილებისა და სწავლის შესაძლებლობების შესახებ;
- გაიზარდოს უწყვეტი განათლების, როგორც ევროპული სოციალური მოდელის ძირითადი კომპონენტის, მნიშვნელობა;

³⁸ *Leonardo, Youth* პროგრამები ამაჟამადაც მოქმედებენ (ec.europa.eu/education/index_en.htm), *Socrates* - დასრულებულია

³⁹ იგულისხმება 1997 წლის ლუქსემბურგის და 1998 წლის კარდიფის სამიტები, რომლებიც ევროპულ დასაქმების სტრატეგიას (European Employment Strategy) იხილავდნენ (<http://www.eu-employment-observatory.net/en/ees/>)

- გაიზარდოს დასაქმება მომსახურების სფეროში, სადაც განსაკუთრებული კადრების ნაკლებობა იგრძნობა;
- განვითარდეს თანაბარი შესაძლებლობების ყველა ასპექტი; შეძციოდეს პროფესიებით სფეროვაცია; გაადვილდეს სამსახურებრივი და ოჯახური ცხოვრების თავსებადობა, კერძოდ, ბავშვების მოვლის სიტემის გაუმჯობესების გზით.

ევროკავშირის საბჭო თვლის, რომ ამ ღონისძიებების გატარებით დასაქმება გაიზარდება 61%-დან 2000 წელს 70%-დე 2010 წელს. ყოველი სახელმწიფო, საკუთარი საწყისი მდგომარეობის გათვალისწინებით, ამ სფეროში ეროვნულ მიზნებს ჩამოაყალიბებს.

2.3. სოციალური დაცვის მოდერნიზაცია

ევროპულმა სოციალური დაცვის სისტემამ უნდა ხელი შეუწყოს ცოდნის ეკონომიკაზე გადასვლას.

ევროპული კავშირის საბჭო მოუწოდებს **ევროგაერთიანების საბჭოს**:

გააძლიეროს გამოცდილების გაზიარება ქვეყნებს შორის სოციალური დაცვის სფეროში უკეთესი საინფორმაციო ქსელების შექმნის გზით, რაც ამ სფეროში ძირითადი ინსტრუმენტია;

- შექმნას მაღალი ღონის სამუშაო ორგანო სოციალური დაცვის საკითხებზე, რომელიც, ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის მიერ შესრულებული სამუშაოს გათვალისწინებით, დაეხმარება ზემოაღნიშნულ მიმართულებას. კერძოდ, უპირველესად ყოვლისა, შეისწავლის სოციალური დაცვის სიტემის ევოლუციას 2020 წლამდე და, სადაც ეს აუცილებელია, უფრო გრძელ დროის მონაკვეთზე.

2.4. სოციალური ჩართულობის გაუმჯობესება

მიუღებელია ადამიანთა ის რაოდენობა, რომელიც ევროკავშირში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება და სოციალურად გათიშულია. მაღალი ღონის სამუშაო ორგანო ამ სფეროში მიზნებზე იმუშავებს. ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა სოციალური გათიშულობის შეძცივების უდიდეს საშუალებებს გვთავაზობს.

ევროპული კავშირის საბჭო მოუწოდებს **ევროგაერთიანების საბჭოსა** და **ევროკომისიას**:

- შეთანხმებული ინდიკატორების საფუძველზე სოციალური გათიშულობის შეძცივების თაობაზე ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლა;
- წევრ ქვეყნებში დასაქმების, განათლების, ჯანდაცვისა და საბინაო პოლიტიკების ფოკუსირება ჩართულობის ზრდაზე;
- განვითარდეს მოქმედებები გამიზნული სპეციფიური ჯგუფების დახმარებაზე (უმცირესობები, ბავშვები, მოხუცები, უნარშეზღუდულები და სხვა).

დანართი 2.

ევროპაში ინოვაციის პირველი სამოქმედო გეგმა

ჭეშმარიტი საინოვაციო კულტურის განვითარების მიზნით "ევროპაში ინოვაციის პირველი სამოქმედო გეგმით" გათვალისწინებული ღონისძიებები მოიცავდნენ ისეთ საკითხებს, როგორცაა განათლება და გადამზადება, რომლის მიზანი, გეგმის თანახმად, სხვა საკითხებთან ერთად, უნდა იყოს სამეწარმეო სულისკვთების რაც შეიძლება ადრე გამოღვიძება. ეროვნულმა მთავრობებმა ამ მიმართულებით უნდა იმოქმედონ, ხოლო ევროკომისია შექმნის ევროპის მასშტაბით მოწინავე გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაცვლის მექანიზმს. კვლევის მე-5 ჩარჩო პროგრამაში (1998-2002 წლები) გათვალისწინებულ იქნა ტრანსნაციონალური მექანიზმი, რომელიც მეცნიერებაში დასაქმებულ მკვლევარებსა და ინჟინრებს ბიზნესში (მცირე საწარმოების ჩათვლით) სტაჟირების საშუალებას აძლევს. წევრ ქვეყნებს ეთხოვა ანალოგიური მექანიზმების შექმნა.

იგივე ჩარჩო პროგრამა გაითვალისწინებს მართვისა და ორგანიზების (ტექნიკური, ეკონომიკური და სოციალური ასპექტების ჩათვლით) საუკეთესო ნიმუშების დემონსტრირებას. გარდა ამისა, ევროკომისია გაავრცელებს მართვისა და ორგანიზების საუკეთესო მეთოდებს, რისთვისაც შეიმუშავებს ამ სფეროში ხარისხის შეფასების საერთოევროპულ სისტემას. იგი მოუწოდებს წევრ-სახელმწიფოებს განავითარონ ეროვნული ინციატივები ამ მიმართულებით და ვალდებულებას კისრულობს მათი ქსელი შექმნას. ამ ღონისძიებებისთვის გამოყენებულ იქნება კვლევის ჩარჩო პროგრამა, გადამზადების პროგრამები და სტრუქტურული ფონდები⁴⁰.

ყოველივე ამის უზრუნველსაყოფად ეროვნულ დონეზე შეიმუშავდება ინოვაციის სფეროში გაცნობიერებისა და გადამზადების პროგრამები გადაწყვეტილებების მიმღებებისთვის, პროექტებისა და ფონდების მენეჯერებისთვის. შეიქმნება ბაზა ინოვაციის სფეროში ევროკავშირის მასშტაბით რეგულარული ანგარიშგებისთვის.

ინოვაციისთვის მიზანშეწონილი საკანონმდებლო, ნორმატიული და საფინანსო გარემოს შექმნისთვის გათვალისწინებულ ღონისძიებათა შორის პირველი იყო ევროგაერთიანებაში **საპატენტო სისტემის** სრულყოფა, რათა იგი გახდეს უფრო იაფი და ხელმისაწვდომი

⁴⁰ ევროკავშირში მოქმედებს ოთხი *სტრუქტურული ფონდი* (Structural Funds), რომელიც ევროკავშირს საშუალებას აძლევს ფინანსურად დაეხმაროს სტრუქტურული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტას: *რეგიონული განვითარების ფონდი* (European Regional Development Fund – ERDF), რომელიც რეგიონებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის დისბალანსის შემცირებას ემსახურება; *ევროპული სოციალური ფონდი* (European Social Fund – ESF), ევროპული დასაქმების პოლიტიკის სტრატეგიული მიზნების განხორციელების მთავარი ინსტრუმენტი; *სასოფლო-სამეურნეო ორიენტირებისა და გარანტიების ევროპული ფონდი* (European Agricultural Guidance and Guarantee Fund – EAGGF), სოფლის მეურნეობაში სტრუქტურული რეფორმებისა და სოფლად განვითარების მხარდასაჭერად; მეთევზეობის ორიენტირების საფინანსო ინსტრუმენტი (Financial Instrument for Fisheries Guidance – FIFG), მეთევზეობაში სტრუქტურული რეფორმების გასატარებლათ (http://ec.europa.eu/regional_policy/funds/feder/index_en.htm)

განმცხადებლებისთვის. ევროგაერთიანების ერთიანი პატენტის შემოღება არ დაიგეგმა, თუმცა სწორედ ეს იქნებოდა გაუმჯობესები ყველაზე ეფექტიანი გზა⁴¹. ამ რთული საკითხის მიმართ სიფრთხილე იქნა გამოჩენილი. ძირითადი აქცენტი გაკეთდა ევროპული საპატენტო სისტემისა და ეროვნული სისტემების უკეთ კოორდინაციაზე, ეროვნული საპატენტო კანონმდებლობების ჰარმონიზაციაზე და საპატენტო პროცედურების გათავსებაზე იყო კონცენტრირებული. ევროკომისიამ მოუწოდა წევრ სახელმწიფოებს, სასამართლო დავების შემთხვევაში, მცირე საწარმოებს საფინანსო დახმარება აღმოუჩინონ.

შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხია **დამწყები ბიზნესებისთვის დახმარება** ინოვაციის სფეროში, როგორც ევროგაერთიანების, ასევე ეროვნულ დონეზე. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაამარტივონ კომპანიების დაფუძნება. ევროკომისიამ და წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შექმნან ადგილობრივ და რეგიონულ დონეებზე ერთი ფანჯრის პრინციპით ორგანიზებული დახმარების ქსელები მცირე საწარმოებისთვის, რათა გაუმარტივონ მათ არსებულ მრავალრიცხოვან დახმარების სქემებში ორიენტირება.

საწარმოების კოოპერაციის მიზანშეწონილი იურიდიული ფორმების შესახებ ევროპული კანონმდებლობა უნდა დაიხვეწოს და ეს ფორმები უნდა გავრცელდეს (ევროპული კომპანიები⁴², ერთობლივი წამოწყებები⁴³, ეკონომიკური ინტერესების მიხედვით ევროპული ჯგუფები⁴⁴).

ევროპაში ინოვაციების დაფინანსება უნდა გაადვილდეს. ამ სფეროში კერძო, რეგიონული და ეროვნული ინიციატივები თამაშობენ გადამწყვეტ როლს. ევროკომისია გაავრცელებს საუკეთესო პრაქტიკას, კერძოდ დააფინანსებს პილოტურ პროექტებს, ჩართავს ამ საქმეში სტრუქტურულ ფონდებსა და ევროპულ საინვესტიციო ფონდს⁴⁵. საქმიანობა სამი მიმართულებით წარიმართება:

- დამწყები და სწრაფად მზარდი ინოვაციური ფირმების (სამუშაო ადგილების მთავარი წყარო) **სარისკო კაპიტალში და აქციებში** ინვესტიციების წახალისება. ამ მიზნით საპენსიო ფონდების, სიცოცხლის დაზღვევის, ბიზნეს-ანგელოზების, სხვა დაგროვების სქემების სარისკო ინვესტირებაზე ორიენტირება დაიგეგმა. ევროკომისია იზრუნებს ევროპული საინვესტიციო ფონდის სახსრების გამოყენებაზე საპილოტო მექანიზმების სტიმულირებისთვის, განსაკუთრებით ევროგაერთიანების მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე ჩამოყალიბებული საინოვაციო პროექტებისთვის.

- შეიქმნას პირობები **ინოვაციური, მაღალტექნოლოგიური კომპანიების კაპიტალის (აქციების) ევროპული ბაზრის განვითარებისთვის** (მაგალითად, EASDAQ⁴⁶), რაც საკანონმდებლო და საფინანსო პირობების გადახედვას მოითხოვს

⁴¹ ევროგაერთიანების ერთიანი პატენტის შემოღება ამჟამადც გადაუწყვეტელი ამოცანაა. მიუხედავად არაერთი მცდელობისა, იგი არ იქნა რატიფიცირებული ყველა ქვეყნის მიერ. ერთიანი ბაზრის განვითარებისთვის ეს ერთერთი უმთავრესი წინააღმდეგობაა.

⁴² European companies (http://en.wikipedia.org/wiki/European_Company)

⁴³ Joint Undertakings – ამჟამად *ერთობლივი ტექნოლოგიური ინიციატივების* (Joint Technology Initiatives) ფორმითაა რეალიზებული (გვ. 15, სქოლიო 36 და 37)

⁴⁴ European Economic Interest Groups (Wikipedia)

⁴⁵ European Investment Fund

⁴⁶ EASDAQ (აშშ NASDAQ-ის ანალოგიურად)

- **ტექნოლოგიურ ინოვაციებსა და საფინანსო წრეებს შორის ინტერფეისის** გაძლიერება. ევროკავშირის კვლევებსა და სარისკო კაპიტალს შორის უფრო მჭიდრო კავშირებს გააუმჯობესებს კვლევის შედეგების გამოყენებას. კვლევის ჩარჩო პროგრამის მონაწილეებისთვის სათანადო საკონსულტაციო დახმარების სამსახური შეიქმნება.

დონისძიებები დაიგეგმა იმ მიზნით, რომ **კვლევა ინოვაციის მიმართულებით წარმართულიყო.** *ეროვნულ დონეზე*, ევროკომისიის დახმარებით, უნდა **განვითარებულიყო კვლევისა და მისი გამოყენების სტრატეგიული პროგნოზული ხედვა**, დამოკიდებული კონკრეტულ ქვეყანაზე. ევროკომისიის პროგრამებს, როგორებიცაა "Delphi" ან "Foresight", შეუძლიათ მიმართონ კოლექტიური კვლევა აქტუალურ სექტორებსა და ტექნოლოგიებზე, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც მიმართულებების განსაზღვრის გამოცდილება არ არსებობს. ევროკომისია დაადგენს მიმართულებებს გაერთიანების დონეზე. იგი გააძლიერებს ტექნოლოგიებზე დაკვირვებას ევროპული მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ობსერვატორიის (European Science and Technology Observatory) ფარგლებში.

უნდა გაზრდილიყო **მრეწველობის მიერ ჩატარებული კვლევები** (აბსოლუტურ და ფარდობით სიდიდეებში). წევრ სახელმწიფოებს ეთხოვათ გაზარდონ მშპ-ს წილი, მიმართული კვლევაზე, განვითარებაზე და ინოვაციაზე, განსაკუთრებით მრეწველობის მიერ დაფინანსებული კვლევის წახალისების გზით (ეროვნული მთავრობისთვის *ევროკავშირის შესახებ შეთანხმებით* დაშვებულ ფარგლებში⁴⁷).

ძლიერი მხარდაჭერა უნდა გაწეოდა **ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ დამწვებ ფირმებს** (უნივერსიტეტების შემადგენლობაში არსებულ ფირმებს - "campus companies", უნივერსიტეტიდან გამოყოფილ კომპანიებს - "spin-offs"). სპინ-ოფ პროცესში ქვეყნებმა უნდა გამოიყენონ პრაქტიკით შემოწმებული ეფექტიანი საორგანიზაციო სტრუქტურები, დაფარონ მათი ხარჯები, დაკავშირებული ინტელექტუალურ საკუთრებასთან, სოციალურ უფლებებთან, საფინანსო საკითხების მოგვარებასთან და სხვა. ევროკომისია მხარს დაუჭერს ტექნოლოგიების გავრცელების ეროვნულ და რეგიონულ ინიციატივებს საპილოტო პროექტების დაფინანსების გზით, ისეთებს, როგორიცაა საუნივერსიტეტო ტექნოლოგიების გადაცემის განყოფილებები და ანალოგიური რეგიონული ინსტიტუტები, სარისკო კაპიტალის კომპანიები და ტექნოლოგიების ბროკერები.

⁴⁷ The Treaty, Article 92 (იგულისხმება მასტრიხტის შეთანხმება ევროპული კავშირის შესახებ, რომლითაც 1992 წელს ევროკავშირი დაფუძნდა) (en.wikipedia.org/wiki/Maastricht_Treaty)

დადგენილ იქნა, რომ **საჯარო, საუნივერსიტეტო და სამრეწველო** (მრეწველობაში მიმდინარე) **კვლევებს შორის კოორპორაცია** გაიზრდება, ისეთი იურიდიული და პრაქტიკული სქემების შექმნის გზით, რომლებიც საშუალებას მიცემენ მკვლევარებს დროის ნაწილი კომპანიების შექმნას დაუთმონ, საშუალებას მიცემენ უნივერსიტეტებს და საჯარო კვლევით ცენტრებს დადონ მრეწველობასთან ხელშეკრულებები პრაქტიკული შედეგების ერთობლივად გამოყენების თაობაზე (საფინანსო ჰოლდინგების ჩამოყალიბების ჩათვლით).

დადგინდა, რომ უნდა **გაიზარდოს მცირე საწარმოების უნარი აითვისონ ახალი ტექნოლოგიები**, მათი წარმოშობის წყაროს მიუხედავად. წევრმა სახელმწიფოებმა ხელშეწყობი ქმედებები საერთაშორისო წარმომავლობის ტექნოლოგიებზეც უნდა გაავრცელონ. მცირე საწარმოებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ უმაღლესი დონის (ევროპულია თუ მსოფლიოს) ექსპერტიზაზე ტექნოლოგიების, ორგანიზაციულ და მართვის სფეროებში. ზემოხსენებულ საშუაშაველო ორგანიზაციებს დახმარება უნდა გაეწიოს კრიტიკული მასისა და აუცილებელი პროფესიული დონის მიღწევაში. ევროკომისია გააუმჯობესებს კავშირებს ინოვაციის მხარდამჭერ ეროვნულ და რეგიონულ სტრუქტურებს შორის და უზრუნველყოფს მათ სერტიფიკაციას.

ევროპული კავშირის დონეზე, **ევროკომისია მობილიზაციას გაუკეთებს ყველა საინოვაციო ინსტრუმენტს**, კერძოდ, **კვლევის მეხუთე ჩარჩო პროგრამის ფარგლებში შექმნის გამარტივებულ სქემას, რომელიც "ინოვაციურ" და "მცირე საწარმოს" განზომილებებს** გააერთიანებს: მცირე საწარმოებისთვის კვლევების წარმოება და კვლევის შედეგების წვდომა გაადვილდება; კვლევით პროექტებში მხედველობაში იქნება მიღებული მართვის, საფინანსო, საბაზრო, იურიდიული კომპონენტები; საპროექტო წინადადებების შეფასებისას ყურადღება დაეთმობა შედეგების გამოყენების და გავრცელების, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კომპონენტებს; პროექტის ფაზების ურთიერთქმედებას, მცირე საწარმოების მონაწილეობას, დახმარების (საკონსულტაციო) ქსელების გამოყენებას.

პროგრამის შედგენისას გამოყენებული იქნება მეოთხე პროგრამის მიღწევები, მაგალითად, მეწარმეებისა და მეცნიერების ერთობლივი საექსპერტო ჯგუფების მუშაობის გამოცდილება, რომელმაც განვითარების გზაზე არსებული ტექნოლოგიური წინააღობების დაგენა შეძლეს. ინოვაცია იქნება კრიტიკიუმი პროექტების არჩევის პროცესში. ასევე, არჩევის დროს უპირატესობა მიეცემა პროექტებს, რომლებიც ერთდროულად რამდენიმე პროგრამის პირობებს დააკმაყოფილებს (კოორდინებული კონკურსების გამოცხადება).

გარდა მე-5 ჩარჩო პროგრამისა, ევროგაერთიანების სხვა ინსტრუმენტებიც ამუშავდება ინოვაციის სასარგებლოდ: **სტრუქტურული ფონდების** მხრიდან მხარდი მხარდამჭერა გაერთიანებისა და ეროვნულ დონეებზე, სახელმწიფოებისა და რეგიონების მხრიდან ინოვაციასთან დაკავშირებულ სქემებში ინვესტირების გაზრდა. გარდა ამისა, გამოყენებული

იქნება საერთაშორისო თანამშრომლობა: COST and EUREKA-ს⁴⁸ პროგრამების ჩარჩოებში, გაძლიერდება საერთაშორისო სამრეწველო კოოპერაციის მხარდაჭერა, **კვლევითი თანამშრომლობა არა-წევრ ქვეყნებთან** (მათ შორის პროგრამებით TACIS, PHARE, MEDA⁴⁹ და სხვა).

დანართი 3

ევროპის საინოვაციო პოლიტიკის ღონისძიებათა მაგალითები

ევროპაში, ევროკავშირის, წვერი სახელმწიფოებისა და რეგიონების ღონეზე, ინოვაციაზე გამიზნული ათასამდე ღონისძიება და ხელშემწყობი სქემა ხორციელდება და მზადდება. ამ მასივის ამომწურავი მიმოხილვა შეუძლებელია. აღვნიშნოთ სხვადასხვა ტიპის რამდენიმე საერთოევროპული ღონისძიება და სქემა, თუმცა ჩამონათვალი, რასაკვირველია, არასრული იქნება.

ევროპული კვლევითი სივრცე⁵⁰ (ERA) - საქონლისა და მომსახურებისთვის ევროპული ერთიანი ბაზრის ანალოგი კვლევის, შემუშავებისა და ინოვაციის სფეროში, რომელიც გულისხმობს მეცნიერთა მობილობას, სამეცნიერო შედეგების ტრანსნაციონალური ხასიათის გაძლიერებას. მიზანია ევროპული კვლევითი ინსტიტუტების ერთობლივი საქმიანობის გაძლიერებისა და საინოვაციო პროცესებში ჩართულობის გაზრდის გზით მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლება. ამ მიზანს ემსახურება როგორც მსხვილი და ცნობილი ღონისძიებები (მაგალითად, კვლევის ჩარჩო პროგრამები), ასევე ნაკლებად ცნობილი, მაგრამ მნიშვნელოვანი (მაგალითად, ევროპული ინიციატივა სასოფლო-სამეურნეო კვლევათა განვითარებისთვის)⁵¹

⁴⁸ COST (http://www.cost.esf.org/about_cost); EUREKA (<http://cordis.europa.eu/coordination/eureka.htm>)

⁴⁹ TACIS (http://europa.eu/legislation_summaries/external_relations/), PHARE

(http://europa.eu/legislation_summaries/enlargement/), MEDA

(http://europa.eu/legislation_summaries/external_relations/relations_with_third_countries) – ეს პროგრამები დასრულდა 2006 წელს.

⁵⁰ The European Research Area: New Perspectives. GREEN PAPER. Brussels, 4.4.2007, COM(2007) 161 final. {SEC(2007) 412} (<http://ec.europa.eu/research/era/>)

⁵¹ European Initiative for Agricultural Research for Development.

კვლევის, ტექნოლოგიური განვითარებისა და სადემონსტრაციო აქტივობის ჩარჩო პროგრამები (მიმდინარე – მე-7 ჩარჩო პროგრამა, 2007-2013 წლები)⁵². ესაა ლისაბონის სტრატეგიის მიზნების – ცოდნის საზოგადოების აგებისა და ევროპული კვლევითი სივრცის განვითარების - მთავარი ინსტრუმენტი. მისი საშუალო წლიური ბიუჯეტი 7 მილიარდ ევროს აღემატება, რაც მე-ნ ჩარჩო პროგრამასთან შედარებით 2-ჯერ არის გაზრდილი. პროგრამა ხელმისაწვდომია მეცნიერებისთვის, რომლებიც მუშაობენ საჯარო კვლევით ორგანიზაციებში და მრეწველობაში (განსაკუთრებით მცირე საწარმოებში). იგი ევროინტეგრაციის ინსტრუმენტს წარმოადგენს, რადგანაც გრანტების გაცემა, უპირატესად, მრავალეროვან კონსორციუმებზე ხდება, რაც მეცნიერთა თანამშრომლობას აძლიერებს.

ევროპული კვლევითი საბჭო (European Research Council – ERC, <http://erc.europa.eu>) შეიქმნა მე-7 ჩარჩო პროგრამის ფუნდამენტური კვლევების მიმართულების მართვის მიზნით. მასში განხორციელებულია პრინციპი "შიეცით მეცნიერება მეცნიერებს", რომელიც ფუნდამენტური კვლევებისთვის სავსებით სამართლიანია. საბჭო მე-7 ჩარჩო პროგრამის სახსრების დაახლოებით 1/7-ს ანაწილებს.

რეგიონული განვითარების ევროპული ფონდი (ERDF: European Regional Development Fund, <http://europa.eu>) მოწოდებულია გამოასწოროს ევროპის რეგიონებს შორის ეკონომიკური და სოციალური დისბალანსი. იგი, ძირითადად, ახორციელებს პირდაპირ დახმარებას (ინვესტიციებს) მცირე კომპანიებში და საინოვაციო, ტელესაკომუნიკაციო, გარემოსდაცვით, ენერგეტიკულ და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში. იგი ახორციელებს, აგრეთვე, ტექნიკურ დახმარებას, ხოლო იმ რეგიონებში, რომელთა მშპ საშუალოევროპულის 75% არ აღემატება, ეკონომიკური სტრუქტურის მოდერნიზებაში, კვლევასა და შემუშავებაში, ინოვაციასა და მეწარმეობაში, საინფორმაციო საზოგადოებაში ინვესტირებას.

ევროპულ სოციალურ ფონდთან (European Social Fund – ESF, ec.europa.eu/employment_social/) ერთად იგი ამ ამოცანებზე 2007-2013 წლებში 280 მილიარდ ევროზე მეტს დახარჯავს.

⁵² Decision No 1982/2006/EC of the European Parliament and of the Council of 18 December 2006 concerning the Seventh Framework Programme of the European Community for Research, Technological Development and Demonstration Activities (2007-13).

ინოვაცია 2010 ინიციატივა⁵³ წამოიწყო ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB, europa.eu/institutions/financial/eib/) ჯგუფმა ლისაბონის დღის წესრიგის (სტრატეგიის) პასუხად. მისი მიზანია: ხარისხიანი განათლებისა და გადამზადების ხელშეწყობა; სრულყოფილი კვლევის, შემუშავებისა და ინოვაციის მხარდაჭერა; საინფორმაციო ტექნოლოგიების დიფუზიის დაჩქარება.

ევროპული საინვესტიციო ფონდი (EIF, europa.eu/institutions/financial/eif/) მცირე ინოვაციური საწარმოებს ეხმარება მათთვის სარისკო კაპიტალის მოძიების გზით. სესხებზე 2000-2006 წლებში 45 მილიარდი ევრო დაიხარჯა. გარდა ჩვეულებრივი სესხებისა, სესხები და გარანტიები პროექტებზე, რომელთა რისკი აღემატება ჩვეულებრივს, გაიცემა **რისკის გაზიარების საფინანსო სქემით**⁵⁴, რომელიც ევროკომისიისა და ბანკის მიერ შეიქმნა.

ევროპული ერთობლივი ტექნოლოგიური ინიციატივები⁵⁵ - ესაა მრეწველობის, კვლევითი წრეებისა და საჯარო ადმინისტრაციის პარტნიორობის ფორმა, რომელიც გულისხმობს ერთობლივი იურიდიული პირის შექმნას ისეთი მასშტაბის კვლევითი და ტექნოლოგიური პრობლემების გადასაწყვეტად, რომელთათვის კოოპერაციის სხვა ფორმები არაადასაყვანილებელია. ასეთი ორგანიზაცია იქმნება პრობლემის გადასაჭრელად საჭირო დროით⁵⁶. ამჟამად ექვსი ინიციატივა მოქმედებს. მაგალითად, ნანოტექნოლოგიის სფეროში მოქმედ ინიციატივაში (ENIAC) 15 ქვეყანა მონაწილეობს.

მცირე ბიზნესის აქტი⁵⁷ - სამოქმედო გეგმა, რომელშიც ყველა დონის პოლიტიკის მკეთებლებისთვის მსს მიმართებაში მოქმედების პრინციპებია მოცემული. ამის შესაბამისად, ევროპულ, ეროვნულ და რეგიონულ პროგრამებსა და გეგმებში აისახა **მსს** (განსაკუთრებით ინოვაციური **მსს**) განვითარების საკითხები.

⁵³ Innovation 2010 Initiative (<http://www.eib.europa.eu/projects/topics/innovation/index.htm>)

⁵⁴ Risk Sharing Financial Facility (www.eib.europa.eu/attachments/rsff_faq_31052007.pdf)

⁵⁵ JTI - Joint Technology Initiatives (cordis.europa.eu/fp7/jtis)

⁵⁶ Report on European Technology Platforms and Joint Technology Initiatives: Fostering Public-Private R&D Partnerships to Boost Europe's Industrial Competitiveness. COMMISSION STAFF WORKING DOCUMENT. SEC(2005) 800, Brussels, 10.6.200

⁵⁷ Think Small First. A Small Business Act for Europe. COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE COUNCIL, THE EUROPEAN PARLIAMENT, THE EUROPEAN ECONOMIC AND SOCIAL COMMITTEE AND THE COMMITTEE OF THE REGIONS. {SEC(2008) 2101}{SEC(2008) 2102}. COM(2008) 394 final, Brussels, 25.6.2008

ბიზნესისთვის კვლევის, შემუშავებასა და ინოვაციის სახელმწიფო დახმარების ევროპული ჩარჩოს შესახებ⁵⁸ ევროკომისიის 2006 წლის გადაწყვეტილება საწარმოებისთვის (პირველ რიგში, მსს-თვის) ნებადართული გრანტების, შეღავათების და უფასო მომსახურების გაწევის მიმართულებებისა და ოდენობის შესახებ, რომლითაც ეროვნულმა და რეგიონულმა მთავრობებმა უნდა იხელმძღვანელონ.

კონკურენტუნარიანობისა და ინოვაციის ჩარჩო პროგრამა⁵⁹ (2007-2013) – საწარმოებისა და მრეწველობის დირექტორატი ამ პროგრამით ეხმარება რეგიონებში **მსს** საინოვაციო აქტივობას, უზრუნველყოფს უკეთეს ფინანსების წვდომასა და ბიზნეს-მომსახურებას. იგი განსაკუთრებულად ეხმარება საინფორმაციო ტექნოლოგიის, განახლებადი ენერჯისა და ენერგოეფექტურობის სფეროებს. მსს-თვის განკუთვნილი სარისკო კაპიტალის ზრდის მიზნით პროგრამა 1 მლრდ ევროს დახარჯავს, რამაც 30 მლრდ ევრო კერძო სარისკო კაპიტალი უნდა მოიზიდოს. მიზანია ევროპაში წლიური სარისკო კაპიტალის დაბანდების გასამმაგება 2007-2013 წლებში.

ევროპული ბიზნესის ინოვაციის ცენტრების ქსელი და ქსელი ევროპული საწარმო⁶⁰. პირველი მოიცავს 155 ბიზნესის ინოვაციის ცენტრს (ბიზნეს-ინკუბატორები) ევროპის ყველა ქვეყანაში და 75 ასოციირებულ წევრს სხვა ქვეყნებში. მეორე 2008 წლიდან აერთიანებს 70 ინოვაციის გადამცემ ცენტრს (Innovation Relay Centres – IRC) და ევრო ინფო ცენტრებს (Euro Info Centres) – სულ 600 ორგანიზაციას, რომელიც მცირე საწარმოებისთვის უზრუნველყოფს ინფორმაციას ევროგაერთიანებისა და ადგილობრივი შესაძლებლობების შესახებ (პარტნიორები, ტექნოლოგიები, კანონმდებლობა, დაფინანსების წყაროები და სხვა) და უწევს კონსულტირებას. ორივე ქსელში შემავალი ცენტრები განლაგებულია რეგიონებში და რეგიონული განვითარების ამოცანებს ემსახურება.

⁵⁸ State Aid Act - COMMUNITY FRAMEWORK FOR STATE AID FOR RESEARCH AND DEVELOPMENT AND INNOVATION. (2006/C 323/01)

⁵⁹ The Competitiveness and Innovation Framework Programme (CIP) of the European Commission (2007 to 2013). Decision No 1639/2006/EC of the European Parliament and of the Council of 24 October 2006 (<http://>)

⁶⁰ European Business Network (EBN) - www.ebn.eu; Enterprise Europe Network (EEN) – www.enterprise-europe-network.ec.europa.eu

- *CORDIS – ევროკავშირის კვლევისა და შემუშავების საინფორმაციო სამსახური - მე-7 ჩარჩო პროგრამის კონკურსები და დასრულებული პროექტების შედეგები, ევროკავშირის ოფიციალური დოკუმენტები კვლევისა და ინოვაციის სფეროში და სხვა.*
- *ევროპული სამეზობლო პოლიტიკა⁶¹ -* საზღვრავს ევროპის 16 მეზობელ ქვეყანასთან თანამშრომლობის რეჟიმს. 2008 წელს ევროკავშირის საბჭომ მიიღო მისი სპეციალური ნაწილი
- *ადმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამა⁶². სამეზობლო პოლიტიკა გულისხმობს პარტნიორი ქვეყნების მონაწილეობას ევროკავშირის ზოგიერთ პროგრამაში, მე-7 ჩარჩო პროგრამის ჩათვლით.*

ინოვაციისა და შემოქმედების ევროპული წელიწადი 2009⁶³ – ამ ღონისძიების მიზანია გაზარდოს საზოგადოებაში ინოვაციის მნიშვნელობის შეგრძნება, გაავრცელოს მოწინავე პრაქტიკა.

ლიტერატურა

Christian Rammer, Susanne Thorwarth, Mark O.Sellenthin, Rurik Holmberg. Czech Republic. Country Review. Report of the study funded by the European Commission – DG Research, ZEW and Linköping University, COMMITTEE AND THE COMMITTEE OF THE REGIONS. {SEC(2008) 2101}{SEC(2008) 2102}. COM(2008) 394 final, Brussels, 25.6.2008
 Conclusions of the Presidency, Florence Summit, 21 and 22 June 1996, SN/300/46
 Conference *Knowledge for Growth*, Toulouse, 7-9 July, 2008
 Decision No 1982/2006/EC of the European Parliament and of the Council of 18 December 2006 concerning the Seventh Framework Programme of the European Community for research, technological development and demonstration activities (2007-13).
 eEurope 2002. An Information Society For All. Action Plan prepared by the Council and the European Commission for the Feira European Council 19-20 June 2000. COUNCIL OF THE

⁶¹ European Neighborhood Policy. STRATEGY PAPER. COMMUNICATION FROM THE COMMISSION, Brussels, 12.5.2004. COM(2004) 373 final. {SEC(2004) 564, 565, 566, 567, 568, 569, 570}. (http://ec.europa.eu/world/enp/index_en.htm).

⁶² Eastern Partnership Programme (<http://www.enpi-info.eu/indexeast.php>)

⁶³ European Year of Creativity and Innovation 2009 (create2009.europa.eu/)

EUROPEAN UNION, COMMISSION OF THE EUROPEAN COMMUNITIES, Brussels, 14.6.2000

EUROPEAN INNOVATION SCOREBOARD 2008. COMPARATIVE ANALYSIS OF INNOVATION PERFORMANCE. January 2009, p.18 (www.proinno-europe.eu/EIS2008)

European Neighborhood Policy. STRATEGY PAPER. COMMUNICATION FROM THE COMMISSION, {SEC(2004) 564, 565, 566, 567, 568, 569, 570}, Brussels, 12.5.2004, COM(2004) 373 final

First Action Plan for Innovation in Europe. European Commission, 1996. (<http://cordis.europa.eu/documents>)

Green Paper on Innovation. Bulletin of the European Union Supplement 5/95. — Luxembourg: Office for Official Publications of the European Communities, 1996. — P. 9.

INNO-Policy TrendChart - Policy Trends and Appraisal Report. LITHUANIA. European Commission, Enterprise Directorate-General, 2008. 128 pp.

Knowledge sharing in the European Research Area. Report of the ERA Expert Group, European Commission, Directorate-General for Research, 2008. EUR 23323 EN;

Kuhlmann Stefan. Multi-level innovation systems and the need for intra-European innovation policy.

Kuhlmann Stefan. New challenges and the future of NIS approaches. *Conceptual Considerations. Workshop Future Orientations for Science, Technology and Innovation Policy*, OECD Working Party on Innovation and Technology Policy (TIP) Paris, 14 December 2009

Lithuania: Your Partner in Research and Experimental Development. Ministry of Education and Science of the Republic of Lithuania, Vilnius, 2006. 29 pp.;

Opinion of the European Economic and Social Committee on ‘The role of technology parks in the industrial transformation of the new Member States’. Official Journal of the European Union, 17.3.2006. (2006/C 65/11).

On a multiannual programme for enterprise and entrepreneurship, and in particular for small and medium-sized enterprises (SMEs) (2001-2005). Council Decision of 20 December 2000 (2000/819/EC). OJ L 333 of 29.12.2000

Presidency Conclusions. Barcelona European Council, 15-16 March 2002 (http://europa.eu/european-council/index_en.htm)

Presidency Conclusions. European Council, Lisbon, 23 - 24 March 2000. (europarl.europa.eu/summits/lis1_en.htm)

Report on European Technology Platforms and Joint Technology Initiatives: Fostering Public-Private R&D Partnerships to Boost Europe’s Industrial Competitiveness. COMMISSION STAFF WORKING DOCUMENT. SEC(2005) 800, Brussels, 10.6.200

Reviewing Community innovation policy in a changing world. COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE EUROPEAN PARLIAMENT, THE COUNCIL, THE EUROPEAN ECONOMIC AND SOCIAL COMMITTEE AND THE COMMITTEE OF THE REGIONS. COM(2009) 442 final. Brussels, 2.9.2009

State Aid Act - COMMUNITY FRAMEWORK FOR STATE AID FOR RESEARCH AND DEVELOPMENT AND INNOVATION. (2006/C 323/01)

Steffen Bach, Hansjörg Blöchliger and Dominik Wallau. THE SPENDING POWER OF SUB-CENTRAL GOVERNMENTS: A PILOT STUDY. *OECD Network on Fiscal Relations Across Levels of Government* 1 COM/CTPA/ECO/GOV/WP(2009)8. (<http://www.oecd.org/department/>)

The Competitiveness and Innovation Framework Programme (CIP) of the European Commission (2007 to 2013). Decision No 1639/2006/EC of the European Parliament and of the Council of 24 October 2006 (<http://>)

The European Research Area: New Perspectives. GREEN PAPER. Brussels, 4.4.2007, COM(2007) 161 final. {SEC(2007) 412} (<http://ec.europa.eu/research/era/>)

The Strategy for Europe's Internal Market. *Communication from the Commission to the European Parliament and the Council*. EUROPEAN COMMISSION, COM (1999) 624 final

Think Small First. A *Small Business Act* for Europe. COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE COUNCIL, THE EUROPEAN PARLIAMENT, THE EUROPEAN ECONOMIC AND SOCIAL COMMITTEE AND THE COMMITTEE OF THE REGIONS. Brussels, 12.5.2004. COM(2004) 373 final. {SEC(2004) 564, 565, 566, 567, 568, 569, 570}. (http://ec.europa.eu/world/enp/index_en.htm).

Towards a European Research Area. Communication from the Commission to the Council, the European Parliament, the Economic and Social Committee and the Committee of the Regions. COMMISSION OF THE EUROPEAN COMMUNITIES, Brussels, 18 January 2000, COM (2000) 6

Treaty of Lisbon amending the Treaty on European Union and the Treaty establishing the European Community, signed at Lisbon, 13 December 2007

Turning Science into Business: PATENTING AND LICENSING AT PUBLIC RESEARCH ORGANISATIONS. OECD, 2003, 308 p.

Working together for growth and jobs. A new start for the Lisbon Strategy. Brussels, 3.2.2005 SEC (2005) 193. (ec.europa.eu/growthandjobs/pdf/SEC2005_193_en.pdf)